CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

## რა ფორმატით წაიყვანს ბიძინა ივანიშვილი ტელეშოუს?



N103(3033) 8 ივლისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ნიკა მჟავანაძე: „უნდათ მოამწიფონ აზრი, რომ პატრიარქი რეალურად ვერ მართავს სიტუაციას“

### ვის ამზადებენ მის შემცვლელად?



„მთელი სოციალური ქსელი და ყველა საინფორმაციო საშუალება მომართულია იქითკენ, რომ მოხდეს საპატრიარქოს დისკრედიტაცია, რათა შემდგომ მოამწიფონ აზრი, რომ პატრიარქი რეალურად ვერ მართავს სიტუაციას და სხვა ძალა მოვიდეს საპატრიარქოს სათავეში. ამ ამბავს საკმაოდ სერიოზული ხალხი უდგას სათავეში და ძალიან დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ ზოგადად.“



### მანანა კობახიძის ძმას „ნაციონალებთან“ ფარულ გარიგებაში ადანაშაულებენ



### დათო ლორთქიფანიძე: „როდესაც მე, უმრავლესობის დეპუტატს, მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ვერ ვახერხებ პრემიერ-მინისტრამდე მიტანას, ეს უკვე ცუდია“



### „სისხლის ბანკს“ ბავშვის „ცე“ ჰეპატიტით დაავადებაში სდებენ ბრალს



## შესაძლოა, სააკაშვილი შევარდნაძის დაკრძალვაზე უცხოელებს ჩამოჰყვესო...





# რა ფორმატით წაიყვანს ბიძინა ივანიშვილი ტელეშოუს?

## რას აცხადებს ეკა ბერიძე „ალიასთან“

სამოქალაქო სექტორში წასულმა ექსპრემიერმა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რამდენიმეთვიანი ტაიმ-აუტის შემდეგ ჟურნალისტის ამპლუაში მოგვევლინოს. ტოქშოუ ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“-ზე ახალი სატელევიზიო სეზონიდან, კერძოდ კი ოქტომბრიდან გავა. ტელეკომპანია ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. „გვინდა გამოვეხმაუროთ საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციას, ახალი სეზონიდან განახლებული მაუწყებლობისა და სატელევიზიო ბადის ცვლილების შესახებ. ვადასტურებთ, რომ საზოგადოებრივ-შემეცნებითი ტოქშოუს ავტორი და თანაწამყვანი ბ-ნი ბიძინა ივანიშვილია. აღნიშნული ტოქშოუ საეთეროდ „ჯი-დი-ეს“-ს უნდა დაემზადებინა. განიხილებოდა მისი საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსება, თუმცა ამას, შესაძლოა, გარკვეული კითხვები გამოეწვია საზოგადოებაში. ამიტომ „ჯი-დი-ეს“-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დროებით, მაუწყებლობის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით“.

„ჯი-დი-ეს“-ში დამატებითი კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ, თუმცა „ალიასთვის“ რამდენიმე დეტალი მაინც გახდა ცნობილი. გავარკვიეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი გადაცემას ეკა ბერიძესთან ერთად წაიყვანს, რომელიც ამჟამად კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კომუნიკაციების დირექტორია. ტოქშოუს „მოქალაქე“ ერქმევა და ის კვირაში ორჯერ, საღამოს ეთერში გავა. ტოქშოუში მოიწვევენ ექსპერტებს, პოლიტიკოსებს და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს შეაფასებენ. გადაცემაში მუდმივად იქნება ორი სტუმარი (იმ მომენტისთვის აქტუალური საკითხების მიხედვით შეირჩევა ექსპერტები) და ასევე პოლიტიკური წრეებიდან სტუმრები.

ეკა ბერიძე „ალიასთან“ არც უარყოფს და არც ადასტურებს, რომ ივანიშვილთან ერთად წაიყვანს ტოქშოუს. „მე ამჟამად „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ კომუნიკაციების დირექტორი ვარ, ეს არის რეალობა დღეს. არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში გავაგრძელო სატელევიზიო კარიერა, თუმცა ეს თუ იქნება, იქნება ისე, რომ ამჟამინდელ სამსახურზე უარს არ ვიტყვი. რაც შეეხება იმ გადაცემას, რომელმაც ასეთი დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში, მე იმას ვერაფერს დავამატებ, რაც არის ნათქვამი „ჯი-დი-ეს“-ის განცხადებაში. ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა ეს და თავს შევიკავებ კომენტარისგან. თუკი რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ნამდვილად არ ვაპირებ რაიმეს დამალვას. ამაზე „ჯი-დი-ეს“-მა უნდა გააკეთოს განცხადება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ ამ საკითხზე კომენტარი გავაკეთო“.




ცნობილია ისიც, რომ ტელეკომპანია „ჯი-დი-ესი“ ფორმატს იცვლის და გასართობი არხიდან საინფორმაციო მაუწყებლობაზე გადადის. არხის მთავარი პროდიუსერი თემურ გოგოლაძე „ალიასთან საუბრისას აცხადებს, რომ ნამდვილად იგეგმება ტელეკომპანიის ეთერში საინფორმაციო პროგრამების გაშვება და არხის ლიცენზიის მოდიფიცირება: „ჯერ არ მიგვიმართავს მარეგულირებელი კომისიისთვის, რომ მოგვცენ სიხშირე, რომლის საშუალებითაც გავუშვებთ საინფორმაციო პროგრამებს, თუმცა აუცილებლად მივმართავთ. რაც შეეხება საინფორმაციო და პოლიტიკური ტოქშოუების ჟურნალისტებს, ოფიციალური მოლაპარაკებები არ დაგვიწყია. შიდა მოძიებები, ბუნებრივია, დავიწყეთ და ჯერ ნაცნობობით ვარკვევთ, ვინ შეიძლება იყოს არხზე პოლიტიკური გადაცემების წამყვანი. ჯერ მხოლოდ შიდა მოძიება დავიწყეთ, ოფიციალურად ნამდვილად არავისთან გვიწარმოებია მოლაპარაკება“.

ტელეკომპანია ამჟამად სპეციალიზებულ (გასართობ) სიხშირული მაუწყებლობის ლიცენზიას ფლობს. მას შემდეგ, რაც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შეიტანენ განაცხადს. მარეგულირებელს კანონით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა აქვს, რომ დააკმაყოფილოს, ან არ დააკმაყოფილოს არხის მოთხოვნა.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ედუარდ შევარდნაძე გარდაიცვალა



საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, ექსპრეზიდენტი 7 ივლისს, 12 საათზე გარდაიცვალა. ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი 8 წლის განმავლობაში იყო.

ის 1928 წლის 25 იანვარს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში, პედაგოგის ოჯახში დაიბადა, დაამთავრა თბილისის სამედიცინო ტექნიკუმი, შემდეგ სწავლობდა თბილისის პარტიულ სკოლაში, ხოლო 1959 წელს დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაუსწრებლად.

ედუარდ შევარდნაძეს კვირას, 13 ივლისს დაკრძალავენ.

შევარდნაძის ოჯახს მიუსამძიმრა პრემიერმა ღარიბაშვილმა: „მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ედუარდ შევარდნაძის წვლილი თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს გეოპოლიტიკური როლის ჩამოყალიბებაში. ედუარდ შევარდნაძე იყო საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკოსი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა „ცივი ომის“ დასრულებასა და მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრებაში. ვუსამძიმრებ და თანაგრძნობას ვუცხადებ მის ოჯახსა და ახლობლებს“, – ნათქვამია სამძიმრის წერილში.

ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ექსპრეზიდენტის ოჯახის წევრებსა და საქართველოს მოსახლეობას უსამძიმრებს.

ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებას ეხმაურება მიხაილ გორბაჩოვი: „ედუარდ შევარდნაძე იყო ჭეშმარიტი და იდეალური წარმომადგენელი ქართველი ერისა, ასევე ის იყო ნიჭიერი პოლიტიკოსი“, – აცხადებს გორბაჩოვი.

სააკაშვილი სამძიმრის წერილს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს: „მინდა მივუსამძიმრო საქართველოს მე-2 პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. ედუარდ შევარდნაძე იყო მნიშვნელოვანი მოღვაწე საბჭოთა იმპერიისა და პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის, რომლის როლის უფრო ზუსტ შეფასებაზე ისტორიასა და ისტორიკოსებს კიდევ დიდხანს მოუწევთ მუშაობა. 2003 წელს, როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მის სისხლის სამართლებრივ დევნაზე კატეგორიული უარი ვთქვით, რადგან პატივი ვეცით პრეზიდენტის ინსტიტუტსა და ქვეყნის იმიჯს. უფრო მეტიც, ჩემი განკარგულებით მას შეუნარჩუნდა სახელმწიფო რეზიდენცია და პრეზიდენტის სხვა პრივილეგიები, ვფიქრობ, ეს სწორი იყო. ამ აზრზე ვრჩები მას შემდეგაც კი, რაც თავად პრეზიდენტი შევარდნაძე პრესის საშუალებით მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს ახალ მთავრობას, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს, ჩემი და ჩემი მომხრეების დევნისა და დაპატიმრებისკენ.

დღეს სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გვერდით, არის ქვეყნის მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კუთხეც“, – წერს სააკაშვილი.

ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ხარჯებს, ყველა საორგანიზაციო საკითხს საკუთარ თავზე მთლიანად სახელმწიფო აიღებს.

გუშინ კრწანისის რეზიდენციასთან ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა აქცია გამართეს. ისინი შევარდნაძის ხელისუფლების ყველა იმ პირის დასჯას ითხოვენ, ვინც ზვიად გამსახურდიას დამხობაში მონაწილეობდა. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მანანა შევარდნაძემ აქციის მონაწილეებს სიჩუმისკენ მოუწოდა. გამსახურდიას მომხრეების თქმით, ისინი შიშველი ხელებით გამოხატავენ საკუთარ პოზიციას. მანანა შევარდნაძის რეზიდენციაში შესვლის შემდეგ, აქციის მონაწილეებსა და ედუარდ შევარდნაძის ოჯახის დაცვას შორის მცირე ინციდენტი მოხდა, თუმცა ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. როგორც ზვიად გამსახურდიას მომხრეები აცხადებენ, დაცვამ ისინი დაარბია და მათ ამისთვის პასუხი უნდა აგონ. (ნიუპოსტი)

## გოგა ხაჩიძე საკუთარ გადაცემას აკეთებს, რომელზეც ბიძინა ივანიშვილის გადაცემას განიხილავს



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე საკუთარ გადაცემას აკეთებს. როგორც ის აცხადებს: „გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი აპირებს გადაცემის გაკეთებას ტელეკომპანია GDS-ზე და მინდა, გავავრცელო ინფორმაცია, რომ მეც ვაპირებ გადაცემის გაკეთებას. ჩემი გადაცემა გავა მომდევნო დღეს, როგორც კი ეთერში გასვლას დაიწყებს ბიძინა ივანიშვილის გადაცემა. ჩემს გადაცემაში მივიწვევ სხვა ექსპერტებს და ერთად გავარჩევთ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გადაცემას. იმის გამო, რომ ჩემი და ბატონი ბიძინა ივანიშვილის შესაძლებლობებში ძალიან დიდი სხვაობაა, ჩემი გადაცემა გავა ჩემს „ფეისბუკ“-გვერდზე, ასევე აიტვირთება youtube-ზე და დარწმუნებული ვარ, რომ რეიტინგი არანაკლები გვექნება. ამდენად, გთხოვთ, ჯერ დაელოდოთ GDS-ზე ბატონი ბიძინას გადაცემას და შემდეგ ჩემს „ფეისბუკზე“ და youtube-ზე ჩემს გადაცემას“, – განაცხადა ხაჩიძემ. (ფრონტნიუსი)

## მედვედევი საქართველოს „დამცავი ზომებით“ ემუქრება



რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, „თუ საქართველოსა და უკრაინის პარლამენტები ისევე მოახდენენ ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას, როგორც ეს მოლდოვამ გააკეთა, რუსეთი დამცავ ზომებს მიიღებს... იქნება მსგავსი ზომები“, – განაცხადა მედვედევმა. (ნიუპოსტი)

**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**



ბა ჰყავთ, მოსამართლეებსაც დაუსჯელობის სინდრომი აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი, არანაირი შიში.

**— ამ შემთხვევაში რა მოხდა, მოსამართლე გოგინაშვილმა ვეღარ გარისკა? კუბლაშვილი რომ უკმაყოფილო დარჩა მისი გადაწყვეტილებით, არც კი დამალა.**

– ჩემი აზრით, გამოძიებამ ისეთი არგუმენტები წარუდგინა, ის იძულებული გახდა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. არადა, „ნაციონალები“ სხვა განაჩენს ელოდებოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ უგულავას დარბაზიდან გაათავისუფლებდნენ.

**— ალბათ, შეეგუებიან, მა**ადგილობრივ არჩევნებს და დაიწყებენ, ამის გამო წავაგეთ, სხვა ვერაფერი მოგვიხერხესო. სხვათა შორის, როდესაც ადამიანები დაინახავენ, რომ დამნაშავეები ისჯებიან, უფრო მეტი მოწმე გამოჩნდება და უფრო მეტი დაზარალებული ალაპარაკდება. მე ვიცი, რომ ბევრმა ხელი ჩაიქნია. აქედან გამომდინარე, უგულავას ბრალდებები კიდევ დაუმძიმდება, მას თავისი არაერთი ავკაცობა გაახსენებს თავს. ამ ადამიანმა საკუთარი დაპატიმრება, ასე ვთქვათ, თვითონვე მოაწყო, ჯერ მიდიოდა სადღაც ლონდონში, მერე მარშრუტი შეცვალა, ხან კიშინიოვში მიდიოდა, ხან კიევში, თან ძალიან წვალობდა, ბიძინა ივანიშვილს თავი არ დავუხარე და ამიტომ უნდათ ჩემი დაჭერაო. ივანიშვილს კი არა, თავი სამართალს უნდა დაუხარო. კაცი წავიდა პოლიტიკიდან და ახლა რაღაცებს იგონებენ, ანგარიშებს ეგ გვისწორებსო. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ახლა რომ ბეჟაშვილზე ერთი ამბავი ატეხეს, პარლამენტარი დააკავესო, მე მაგაზე ნაკლები პარლამენტარი ვარ, საქალაქო სასამართლოს შენობიდან ძალის გამოყენებით რომ გამომათრიეს? პერანგი არ ზერეკიძის საქმეები ავიღოთ. 14 წლის ბავშვებს ასაკის მიხედვით მიუსაჯეს ციხე, ანუ 14-14 წელი. ამათ ეგონათ, მინიმუმ 30 წლით იყვნენ მოსულები და ბუზსაც ვერავინ აუფრენდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. სხვათა შორის, ეს ახალმა ხელისუფლებამაც უნდა გაითვალისწინოს, ცოტა ხანში მოსახლეობას შეუძლია, შემოგვიბრუნდეს და გვითხრას: კი, ბატონო, ჩვენ ვიცით, „ნაციონალები“ ვინც იყვნენ, მაგრამ თქვენ რა გააკეთეთო? რა, ჩვენ დაზღვეულები ვართ, რომ ხალხი რადიკალურ მოთხოვნებს არ წამოგვიყენებს? ამიტომ გვმართებს ერთად დგომა, როცა ხელისუფლებაში ხარ, რა დროს ბუტიაობაა? როდესაც იქით გთხოვენ, რომ მათი აზრი უნდა გაითვალისწინო, მაშინ ნება იბოძონ და შენი აზრიც გაითვალისწინონ. მე პირადად ირაკლი ღარიბაშვილი მეიმედება, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მას უმრავლესობის წევრებთან უფრო მეტი კომუნიკაცია სჭირდება. რამდენიმე თვე-

*გაგრძელება*
*მეოთხე გვერდზე*

# დათო ლორთქიფანიძე: „როდესაც მე, უმრავლესობის დეპუტატს, მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ვერ ვახერხებ პრემიერ-მინისტრამდე მიტანას, ეს უკვე ცუდია“

**თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას დაპატიმრება გაცილებით ადრეც შეიძლებოდა, მაგრამ კოტე კუბლაშვილის მონა მოსამართლეების წყალობით, მას გარეთ ყოფნა გაუხანგრძლივდა. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ბოლოს მტკიცებულებები იმდენად მყარი იყო, მოსამართლემ ვეღარ გაბედა დინების საწინააღმდეგოდ წასვლა.**

– გიგი უგულავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება, ნორმალურ ადამიანს სხვანაირი შეხედულება ჰქონდეს. ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ იქცეოდა ეს ადამიანი და რით იყო დაკავებული წლების განმავლობაში. ამიტომ, მისი დაპატიმრება, მე ვფიქრობ, ცოტა ადრე უნდა მომხდარიყო და მაშინ ვეღარ დაუკავშირებდნენ არჩევნებს. ბოლო დროს თავიანთი საქციელით აღარც კი მალავენ, რომ სასამართლო მათია და რაკი საწინააღმდეგო განაჩენი გამოიტანეს, ძალიან გაღიზიანდნენ. ჩვენ არაერთხელ ვილაპარაკეთ იმაზე, რატომ არიან მოსამართლეები „ნაციონალების“ გავლენის ქვეშ, მაგრამ კიდევ გავიმეორებ: ვინაიდან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უმრავლესო**გრამ კოალიციის ზოგიერთი ლიდერი ჯერ ხათუნა გოგორიშვილს ხვდება და ურიგდება, რომ მარნეულში მოხსნის „ქართული ოცნების“ კანდიდატურას, შემდეგ, გიგი უგულავას დაკავების დღეს, 3 ივლისს ხვდება გიგა ბოკერიას და მიდის ისევ რაღაც გარიგება. ეს რას ნიშნავს? დავით უსუფაშვილზე ვამბობ.**

– ეს წარმოუდგენელი ამბავია და ძალიან მიკვირს. იცი, ჩემი და კიდევ რამდენიმე დეპუტატის ლაპარაკი მაგათ როგორ ჩაესმით? ახლა ესენი რაღაცაზე არიან განაწყენებულები, პრეტენზიები აქვთ და ახლა რა ვქნათ? მე მახსენდება, ფარულ სატელეფონო საუბარში როგორ მიმართავს გიგი უგულავას, – მთავარია, შენ როგორ ხარო? რა არის მთავარი, უგულავას კარგად ყოფნა? ჩემი აზრი ასეთია, შესაძლებელი იყო, ეს დაპატიმრება განხორციელებულიყო უფრო მეტად ჭკვიანურად და სხვა ვადებში, ანუ უფრო ადრე. ახლა რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ფაქტია, რომ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი, კეტრინ ეშტონი აკეთებს განცხადებებს, ასევე „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბეჭდავს წერილს უგულავას დაპატიმრების შესახებ. ახლა „ნაცმოძრაობა“ საბოლოოდ წააგებს შემოუხვევიათ, მაგისი საშუალება არ მივეცი, თორემ მაგასაც იზამდნენ. ბეჟაშვილს რა გაუკეთეს? ხელწერილი დააწერინეს და გამოუშვეს. კოტე გაბაშვილი კიდევ, რომელიც იფურთხებოდა და ილანძღებოდა, 100 ლარზე გადაატარეს. მე ადამიანურად მესმის, გოკა გაბაშვილი მამამისს რომ ეძებდა და იძახდა, სამჯერ აქვს გულზე შუნტირება გაკეთებულიო, მაგრამ მოდით, ისიც გავიხსენოთ, რამდენ ადამიანს მოუსპეს ამათ სიცოცხლე. ზრდასრულ ადამიანებზე აღარ ვლაპარაკობ, თუნდაც ყუფარაძისა და

**„რამდენიმე თვის წინ პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს და შეხვედრა მინდა-მეთქი, შევთანხმდით, მაგრამ დღემდე არაფერი გამოდის. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია დღესაც ძალიან აქტუალურია. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ თემაზე სხვას ვერ დაველაპარაკები“**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ბურჯანაძე მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ ხალხს ეყრდნობა“



უმრავლესობის წევრის, თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, „თიანეთში ნინო ბურჯანაძე მთლიანად ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხალხს ეყრდნობა“. ქუცნაშვილმა ვიდეოჩანაწერი და ფოტო წარმოადგინა, სადაც, მისი თქმით, ასახულია, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტში ნინო ბურჯანაძის წარმომადგენლები ვანო მერაბიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხალხია. კადრებში, რომელიც 2012 წელს არის გადაღებული, ვანო მერაბიშვილის გვერდით „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ გამგებლობის კანდიდატი ილია არჩემაშვილი დგას.

ქუცნაშვილის ინფორმაციით, თიანეთის საკრებულოში „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ საკრებულოს წევრობის ხუთეულში, სამი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

„ა, ბატონო, ვიდეოჩანაწერი და ა, ბატონო, ნომერი „ხუთიანი“. თუ ვინმეს ამის დანახვა არ უნდა, არ დაინახოს. ფაქტია, რომ „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ხალხი თიანეთში არიან „ნაციონალური მოძრაობის“ და ვანო მერაბიშვილის ხალხი. თიანეთში ბავშვმაც კი იცის, რომ ვანო მერაბიშვილის ბიჭები ნინო ბურჯანაძის ხალხი გახდა. რამდენად გამართლებულია, რომ 26 მაისის შემდეგ, ნინო ბურჯანაძის შტაბი იმ ხალხს ეყრდნობოდეს, ვინც ვანო მერაბიშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდა?“ – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ნიუპოსტი)

## საქართველოს ჯეიმს აპატურაი ეწვევა



საქართველოს ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი ეწვევა. სახელმწიფო მინისტრის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილის ინფორმაციით, აპატურაი საქართველოში ორ დღეში ჩამოვა. ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნება უელსის სამიტზე საქართველოსთვის გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტის შეთავაზების საკითხი. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ში ერთხელ ყველასთან შეხვედრა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პულსზე გედოს ხელი.

**— საერთო შეხვედრაზე ბევრი რამე ვერ ითქმება.**

– ვერ ითქმება კი არა, არ ითქმება. მე სიმართლის თქმისა არსად არ მეშინია, მაგრამ ყველაფერს ვერ გამოვიტან სააშკარაოზე. ეჭვი მაქვს, უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც ირაკლი ღარიბაშვილს ხშირად ხვდებიან. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ როდესაც მე, უმრავლესობის დეპუტატს, მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ვერ ვახერხებ პრემიერ-მინისტრამდე მიტანას, ეს უკვე ცუდია.

**— აბა, ამ შემთხვევაში რას აკეთებ, უმრავლესობის ლიდერთან უნდა მიხვიდე მოწაფესავით?**

– არა, არსებობს ინფორმაცია, რომელსაც სხვას ვერავის გავანდობ. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს და შეხვედრა მინდა-მეთქი, შევთანხმდით, მაგრამ დღემდე არაფერი გამოდის. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია დღესაც ძალიან აქტუალურია. ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ თემაზე სხვას ვერ დაველაპარაკები. აგერ, მაგალითად, 14 ივლისს არის ჩანიშნული თბილისის საკრებულოს სხდომა, საზოგადოებამ დაგვიჭირა მხარი, ეს გასაგებია, მაგრამ არის რაღაც ნიუანსები, რაზეც უნდა ვილაპარაკოთ. საზოგადოებას ამ კუთხით აქვს კითხვები და ამ დროს პასუხებს ვერ ვიძლევით.



„ნაციონალები“ ისევ შოულობენ დიდ ფულს და ამიტომაც ღიზიანდება მოსახლეობა, კი დაიჭერთ, მაგრამ რაც წაიღეს, ის სად არის? ახლა უგულავას სამუდამო პატიმრობას არ მიუსჯიან, რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ადამიანები გამოვლენ და იცხოვრებენ ბედნიერად“

**— სხვათა შორის, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ამზადებენ ზურაბ ტყემალაძის შვილს. შეიძლება თავმჯდომარედ აირჩიონ მანანა კობახიძის ძმა.**

– მეც გავიგე, მაგრამ დაზუსტებით არ ვიცი. ასეთი რაღაცები მოსახლეობაში ძალიან ცუდ რეაქციას იწვევს. შეიძლება ადამიანი ღირსეულია, მაგრამ საზოგადოებას მის მიმართ არ უნდა შეაქმნევინო ნეგატიური განწყობა. არის რაღაც, რასაც, ალბათ, უნდა მოვერიდოთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „ნაციონალებმა“ თავიანთი მამაძაღლობები დაამთავრეს და კიდევ ბევრს არ ილაპარაკებენ, ძალიან ცდება. მაგათ აქვთ ძალიან ბევრი ფული, რასაც შიგნით შოულობენ, ეგ ვიცით, რაც გარედან შემოაქვთ, საზოგადოებამ ნაკლებად იცის. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გამოვიყენეთ პირველი ორი თვე, როცა სრულ შოკში იყვნენ. მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილის ბანდასავით უნდა მოვქცეულიყავით, მაგრამ ამათ საკუთარი ბიზნესების გადაწყობაც კი მოასწრეს. მე ხშირად ვხვდები მოსახლეობას და იცი, რას ამბობენ? ბიჭო, ახალაიები, მერაბიშვილები და უგულავები კი დაიჭირეთ, მაგრამ ჩვენ რა ხეირი, ამდენი ფული რომ წაიღეს, მოატანინებთო? შენ გგონია, მაგათ რა ბიზნესებიც ჰქონდათ, დაკარგეს? ყველაფერი ნათესავებზე ან მეგობრებზე გადააფორმეს. მაგალითად, ჯერ იმ კომპანიას არ დავასახელებ, თითქმის ყველამ იცის, თბილისთან ახლოს არის ტკბილეულისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმოები, სადაც ძალიან სერიოზული წილები აქვთ. იგივე ხდება ნავთობპროდუქტების კომპანიებში. ესენი ფულს შოულობენ ქვეყნის შიგნით და ინახავენ შავი დღისთვის, რასაც დღეს ხარჯავენ, ეს გარედან აქვთ შემოტანილი. ამისთვის ჰყავთ კეზერაშვილი, რომელმაც 3 წელიწადში მილიარდები დააგროვა.

**— ესე იგი, აზერბაიჯანი ერთადერთი არხი არ არის, საიდანაც ფული შემოაქვთ?**

– არა, ოფშორული ზონებიდან რიცხავენ სხვადასხვა არხებით. მაგალითად, გაქცეულ კეზერაშვილს და სხვებს მოლაპარაკება აქვთ საქართველოში თავიანთ ბიზნესპარტნიორებთან, ბიზნესები გადმოუფორმეს და ახლა როგორ გინდა, ეს ყველაფერი დაუმტკიცო? „ნაციონალები“ ისევ შოულობენ დიდ ფულს და ამიტომაც ღიზიანდება მოსახლეობა, კი დაიჭერთ, მაგრამ რაც წაიღეს, ის სად არის? ახლა უგულავას სამუდამო პატიმრობას არ მიუსჯიან, რაღაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ადამიანები გამოვლენ და იცხოვრებენ ბედნიერად.

**„ბიჭო, ახალაიები, მერაბიშვილები და უგულავები კი დაიჭირეთ, მაგრამ ჩვენ რა ხეირი, ამდენი ფული რომ წაიღეს, მოატანინებთო? შენ გგონია, მაგათ რა ბიზნესებიც ჰქონდათ, დაკარგეს? ყველაფერი ნათესავებზე ან მეგობრებზე გადააფორმეს.“**

**— ესე იგი, როგორც ცხონებული ედუარდ შევარდნაძე იტყოდა ხოლმე, ფულები უნდა დაყაჭონ?**

– შეიძლება, ჩემგან ამის თქმა არ გამოდის, მაგრამ ასეა. როდესაც სააკაშვილის ბანდა მოვიდა, ხალხს თვითმფრინავებიდან ხსნიდნენ და მილიონებს აყაჭინებდნენ. მე არ მინდა, ჩვენი მთავრობაც ასე მოიქცეს, მაგრამ რაც წაღებული აქვთ, უნდა მოიტანონ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# „ნაბეღლავი“ — ქართული ბუნების მადლი

**ნებისმიერი კომპანია, რომელიც ლოკალური ბაზრიდან საერთაშორისო არენაზე გადის, ერთგვარი სახეა თავისი ქვეყნის, კულტურისა და ტრადიციების. ეს განცდა განსაკუთრებით გაძლიერებულია ისეთი პატარა ქვეყნიდან გასული ბრენდებისთვის, როგორიც საქართველოა.**

„წყალი მარგებელის“ პროდუქცია წელს უკვე 27 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

ბრენდები – „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“ ხშირ შემთხვევაში, მალევე იმკვიდრებენ საკუთარ ნიშას უცხოურ ბაზრებზე, სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობებით კონკურენტებთან შედარებით და მომხმარებლის თვალში განსხვავებულ ლოიალურობასაც იძენენ.

ეს განსაკუთრებულობა მეტწილად მათი ნატურალური გემოვნური და სამკურნალო თვისებების დამსახურებაა, თუმცა ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის ფასეულობები, კულტურა და ტრადიცია, რაზეც ეს ბრენდი დგას და რითაც ბუნებისგან ბოძებულ სარგებელს ამდიდრებს.




„წყალი მარგებელი“ დაარსებიდან 17 წლის განმავლობაში კულტურის, განათლებისა თუ ბუნების დაცვის მიმართულებით, უამრავი სხვადასხვა პროექტის მხარდამჭერი იყო.

„წყალი მარგებელის“ სოციალურ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი განათლებას უჭირავს. აღნიშნული სფეროს მიმართ ინტერესი გამოიხატება როგორც სასკოლო, ასევე, უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პროექტების განხორციელებაში.

მათ შორის, მნიშვნელოვანია პროექტი „განათლებული მომავლისთვის“, რომელიც უკვე მეორე წელია, „წყალი მარგებელის“ მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა თაობას, ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვების შედეგად, კომპანიის დახმარებითა და დაფინანსებით გაემგზავროს დიდ ბრიტანეთში და აიმაღლოს ინგლისური ენის ცოდნის დონე. ასევე აღსანიშნავია, უამრავი სტუდენტური კონფერენცია განათლების მიმართულებით, რომლებიც რეგულარულად ტარდება საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში.

განათლებასთან ერთად, კომპანიისთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო, როგორც ქართული ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, ასევე, საერთაშორისო კულტურული პროექტების მხარდაჭერა.

„წყალი მარგებელი“ ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების პარტნიორია, როგორიცაა თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი, სადაც 25-მდე ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენელს საშუალება ეძლევა თავიანთი ნამუშევრები და აზრები ერთმანეთს გაუზიარონ და იმსჯელონ მათთვის აქტუალურ საკითხებზე.

ამასთანავე, კომპანია არ ივიწყებს ქართულ კულტურას და ყოველწლიურად რამდენიმე ღონისძიების მხარდამჭერად გვევლინება, დაწყებული ეროვნულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ერისიონის“ გასვლითი კონცერტებით, დამთავრებული საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ფესტივალის – „არტ გენის“ პარტნიორობით.

კომპანია თავისი არსითა და ფასეულობებით უმეტესწილად საქართველოში ბუნების სილამაზით გამორჩეულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონს, გურიას წარმოადგენს. შესაბამისად, „წყალი მარგებელის“ გუნდი დიდ რესურსს ხარჯავს გარემოსდაცვითი საქმიანობის საწარმოებლად და წასახალისებლად.

2013 წელს კომპანიის გუნდმა „ბახმაროს“ ბოთლის ისეთი ფორმა და დიზაინი შეიმუშავა, რომელიც ბაზარზე შემცირებული წონადობით გამოვიდა, რის შედეგადაც შემცირდა პოლიეთილენისგან გარემოსთვის მიყენებული ზიანი. კომპანიის ინიცირებით ხშირად ტარდება დასუფთავების აქციები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ყოველივე ზემოაღწერილს ზურგს უმაგრებს დარგის პროფესიონალთა მრავალწლიანი მუშაობა და გამოცდილება, რასაც ემატება მინერალური და წყაროს წყლის ბუნებრივად გამორჩეულობა, რაც კომპლექსს ქმნის იმ მახასიათებლებისა, რის გამოც „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“ უკვე რამდენიმე წელია მომხმარებელთა სიყვარულსა და მოწონებას იმსახურებს.

**...და მართლაც, „ნაბეღლავი“ ჯობია!**



ვარდნაძეს უკავშირებენ. ედუარდ შევარდნაძის ოჯახმა სამძიმარი მიიღო პუტინისგან, გორბაჩოვისგან, დასავლეთის პოლიტიკური ლიდერებისგან და თქვენ წარმოიდგინეთ, მიხეილ სააკაშვილისგანაც. ის სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს გახდა იუსტიციის მინისტრი და მისი გაპრეზიდენტებაც შევარდნაძის დათმობამ განაპირობა, რამაც საქართველოში ქარიშხლიანი რევოლუცია გამოიწვია, ყველაზე უხეში ფორმებით, ვანდალურად მოხდა ქვეყნის მეორე პრეზიდენტის პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან გაძევება... და უკანასკნელი ველურივით დაეწაფა სააკაშვილი შევარდნაძის ჩაის... გ ა რ დ ა ც ვ ტერესებული იყო, რა ესხა ამ ჭიქაში. ერთხელ ცოტა ხნით გავედი. ამ დროს ჯანსულ ჩარკვიანი პრეზიდიუმში ასულა, ჩემი ჩაის ჭიქა აუღია და გაუსინჯავს. მაშინვე სახე შეცვლია და ხმამაღლა გამოუცხადებია, – ეს რა არის, წყალია, კაცო, თანაც უშაქრო. რა ასმევს ამ კაცს უშაქრო ჩაისო... ახლა კი დაგითმობთ ჩემს ჩაის ჭიქას და გასინჯეთ. შემდეგ კი მოვა დრო და იტყვით, – ედუარდ შევარდნაძის ჩაი მაქვს გასინჯულიო...“ მახსოვს, მასთან გულწრფელი ინტერვიუ გაიმართა, რატომღაც მან ისეთ დეტალებზე ისაუბრა, რაზეც მანამდე არასდროს მოუყოლია... გაიხსენა ერთი ფაქტი, როცა 8 წლის ასაკში ფოსტალიონის მოვალეობას ასრულებდა: „ბიძაჩემი იყო ფოსტალიონი და როცა ავად გახდებოდა, ან დაკავებული იყო, 12 კმ-ზე დავათრევდი გაზეთებით გაძეძგილ ჩანთას. ერთხელ, სადღაც მოვყევი ეს ამბავი და „ალიამ“ დამიწერა, – ჩვენი პრეზიდენტი ფოსტალიონიც ყოფილაო (იცინის). ასე იყო, ყველაფერს ვაკეთებდი: ჩაის ვკრეფდი ვფიქრობდი. 1948 წელს კომპარტიაში შევედი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ გამიტაცა. მამაჩემს უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, ეს სურვილი ბოლომდე ვერ შევუსრულე, თუმცა ვცადე და მამათში 8 კლასის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში ჩავაბარე, ჩემს დასთან ფასანაურის ქუჩაზე სარდაფის მსგავს ოთახში ვცხოვრობდი, მაგრამ იმდენად ვიყავი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაფლული, საერთოდ არ მაინტერესებდა მედიცინა. ჩემმა მშობლებმა ვერაფრით მაპატიეს, როცა კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორის თანამდებობაზე დავთანხმდი. როცა უკვე შს მინისტრი ვიყავი, დედამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა, – შენ საზოგადოების სნეულებათა მკურნალობას მოჰკიდე ხელი, ფუჭი საქმეა, სჯობდა ჩემი ტანჯვა შეგემსუბუქებინაო. ის თავისებურად მართალი იყო, თუმცა მისი საყვედური რომ მახსენდებოდა, ეს მიზნის მისაღწევად ცეცხლს მინთებდა. თავდაუზოგავად ვშრომობდი, ამ

# შესაძლოა, სააკაშვილი შევარდნაძის დაკრძალვაზე უცხოელებს ჩამოჰყვესო...

ედუარდ შევარდნაძე მსოფლიო ისტორიის კუთვნილებაა... საქართველოს მეორე პრეზიდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მას 13 ივნისს დაკრძალავენ. დასავლეთი მას არაორდინარულ პოლიტიკოსს უწოდებს, საქართველოში კი ბევრი მაგინებელი ჰყავდა... ბოლო მომენტამდე მის სახლთან ზვიად გამსახურდიას მომხრეთა აქციები არ წყდებოდა, რადგან ისინი ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ტრაგიკულ ბედს ედუარდ შელილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს... მახსენდება 2001 წლის 9 აგვისტო, როცა ედუარდ შევარდნაძემ ექსკლუზიური ინტერვიუ პირველად მომცა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, როდესაც შევარდნაძემ ჩაი შემომთავაზა, ვთხოვე, ჩემთვის მისი ჭიქა დაეთმო. მან გაიცინა და ერთი საინტერესო ისტორია გაიხსენა: „როცა პარლამენტის თავმჯდომარე და იმავდროულად, სახელმწიფოს მეთაური ვიყავი, ჩაის ხშირად ვსვამდი. მთელი პარლამენტი დაინსაკმაოდ კარგად. ბავშვობა გაჭირვებაში გავატარე, სოფელში ვიზრდებოდი და 4-5 წლიდან ოჯახს ვეხმარებოდი, რადგან სხვაგვარად არსებობა არ შეიძლებოდა. სხვათა შორის არ მეზარებოდა მუშაობა და ჩიჩინის გარეშე ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. ერთ საიდუმლოს გეტყვით, ძალიან მომწონდა კაკლის ხეზე აძრომა, რომელიც ჩვენს ეზოში იდგა. მასზე იშვიათი ჯიშის, ჩხავერის ვაზი ასდევდა, საათობით ვიჯექი, ვკითხულობდი და ბევრს შრომის გამო ტუბერკულოზი შემეყარა. ბახმარომ გადამარჩინა და ვფიქრობ, ბახმაროსთან ვალში ვარ. სხვათა შორის, არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ სიგარეტს ვეწეოდი, თანაც ძალიან ბევრს, რამაც თავისი კვალი დატოვა ჩემს ჯანმრთელობაზე. ახლაც მახსოვს იმ ექიმის გვარი, კირტავა იყო, მან კატეგორიულად გამაფრთხილა, პაპიროსის მოწევას თავს თუ

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

# კიდევ ერთი სიახლე „ჯეოსელისგან“

## HTC One Mini 2

## ექსკლუზიურად „ჯეოსელში“

### „ჯეოსელის“ მაღაზიები ექსკლუზიური შეთავაზებით




**„ჯეოსელი“, „თელიასონერას“ წევრი კომპანია მუდმივად სიახლეებს სთავაზობს მომხმარებელს და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივით გამოდის:**

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ოფიციალური HTC-ის უახლეს მოდელს, HTC One Mini 2 ექსკლუზიური პირობებით. ეს არის უახლესი ფლაგმანის მინივერსია, რომელიც იმეორებს ამ წლის ძირითადი მოდელის, დიზაინის შტრიხებსა და მონაცემებს, რასაც თან ერთვის „ჯეოსელის“ ხელსაყრელი პირობები და ექსკლუზიური ფასი „ჯეოსელის“ აბონენტებისთვის.

TC One Mini 2-ის შეძენა განვადების ექსკლუზიური პირობებით მხოლოდ „ჯეოსელის“ მაღაზიებშია შესაძლებელი.

ყოველთვიური განვადების თანხაში შედის 25-ლარიანი პაკეტი „მეტი L". ეს არის 500 წუთი ყველა ადგილობრივ ქსელზე სასაუბროდ, 1500 SMS და 500 მბ მობილური ინტერნეტი.

„ჯეოსელის“ ახალი კონცეფციის მაღაზიები გულისხმობს: მობილური ტელეფონების ფართო სპექტრს საუკეთესო ფასად, ყველაზე ხელსაყრელ შეთავაზებებს, მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ჯგუფს მობილური ინტერნეტის ამოუწურავ შესაძლებლობებსა და განსაკუთრებულ, კომფორტულ გარემოს.

*მეხუთე გვერდიდან*

არ დაანებებ, 10-15 წელიწადში ფეხი გექნება მოსაჭრელიო. გამოვაცხადე, დღეიდან სიგარეტს აღარ ვეწევი-მეთქი. სახლში დამცინეს, სამი დღე მთვრალივით ვბორგავდი...

**— ლომკაში ჩავარდით, პრეზიდენტო?**

– (ხარხარებს) ხო, ლომკა დამეწყო, ლომკა, მაგრამ ეს ლომკა წარმატებით გადავაგდე და 50 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სიგარეტი აღარ გამისინჯავს...

**— ბატონო პრეზიდენტო, აშკარად ჩანს, რომ ნელ-ნელა გეცლებიან ისინი, ვინც თავის დროზე თქვენს მზეს ფიცულობდნენ: ჟვანია, სააკაშვილი, მაჭავარიანი, ბარამიძე, წერეთელი... თქვენ, ალბათ, ამჩნევთ ამ ნიუანსებს. როგორ ფიქრობთ, პოსტშევარდნაძისეული ეპოქისთვის ემზადებიან?**

– (პაუზა) ეს არ მაკვირვებს, ადამიანები სხვადასხვანაირები არიან, ზოგი კეთილია, ზოგი – ბოროტი, ზოგს შური სტანჯავს, ზოგი საკუთარ თავში დარწმუნებულია. ფიქრობენ, აღარ ეყო ამ კაცს? მე რატომ არ უნდა ვიყო მის ადგილზეო?.. მე ვიცი, რაც ხდება. იცით, ხალხი ჩემგან დაიღალა, ხალხს დღეს უნდა კარგი ცხოვრება და არა 10 წლის შემდეგ. თავისუფლება, დამოუკიდებლობა ყველაზე ძვირადღირებული ბედნიერებაა და ხანდახან მსხვერპლია საჭირო. ხალხი ბევრს მაკრიტიკებს. აგერ, შევარდნაძის იმედი გვქონდა, 9 წელი გავიდა და მაინც არაფერი გვეშველაო. ამიტომ საზოგადოებაში ვრცელდება აზრი, რომ შევარდნაძემ არ გააკეთა ის, რაც აუცილებელი იყო უკეთესი ცხოვრებისთვისო. ვიცი, რომ ბევრს გული ვატკინე, განსაკუთრებით მათ, ვისი ხვედრის გადაწყვეტის უფლება მე მქონდა. ვიცი, რომ ჩემმა ამ უფლებამ ზოგიერთს არა მხოლოდ უხერხულობა, ტკივილიც კი მოუტანა. მე არ მიკვირს ხალხის ჩემდამი ასეთი განწყობა, ეს პოლიტიკოსის ხვედრია. თუმცა ხალხმა როგორი მკაცრი განაჩენიც არ უნდა გამომიტანოს, რაოდენ მკაცრი შეფასებაც არ უნდა მომცეს, მე მათზე არასოდეს გავნაწყენდები და ჩემს ხალხს არასოდეს გავებუტები. საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე 3 წელი და 7 თვე დამრჩა, ბევრის მოსწრებას ვაპირებ, თუკი ჩანაფიქრის განხორციელება დამცალდა. როცა პრეზიდენტი აღარ ვიქნები, მერე უფრო მეტს გესაუბრებით...



„სააკაშვილს რომ ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდეს, ჩამოვიდოდა და აქ დაიწყებდა მიტინგების მოწყობას. ახლა შეიძლება ისარგებლოს ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებით, უცხოეთიდან ჩამომსვლელ მაღალი თანამდებობის პირებს შეიძლება სთხოვოს ხელშეუხებლობის გარანტია, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, მათ ჩამოჰყვეს იმ იმედით, რომ არ დაიჭერენ და მათვე გაჰყვეს უკან“

**— როგორ ფიქრობთ, სად მომიწევს თქვენთან საუბარი?**

– (იცინის) ვიღაცამ ჩინეთის ერთ-ერთი ლიდერის მაგალითი მოიყვანა, რომელიც გადადგა და 7 წელი თვითონ მართავდა ქვეყანას. ასე არ იქნება, ჩვეულებრივი ურთიერთობა ახალ პრეზიდენტთანაც მექნება და ახალ გუნდთანაც. თქვენ ნახავთ, რომ 2-3 წელიწადში სხვა საქართველო გვექნება...“

**ეს იყო ინტერვიუდან მოკლე ამონარიდი. 2001 წლიდან 2-3 წელიწადში მართლაც სულ სხვა საქართველოში ამოვყავით თავი, მტკივნეული რეფორმების მიღმა ქართველმა ერმა ჯოჯოხეთური ცხოვრება გამოიარა. ე.წ. რეფორმატორთა გუნდი კი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ისინი გისოსებსმიღმა აღმოჩნდებოდნენ, რადგან მათ ქვეყნის მმართველობის 30-წლიანი გეგმა ჰქონდათ.**

**ყოფილი უფლებადამცველი ნანა დევდარიანი „ალიასთან“ საუბარში მიმდინარე პროცესებსა და ქართულ პოლიტიკაში ედუარდ შევარდნაძის როლს ასე აფასებს:**

– კანონმდებლობა, რომელიც „ნაციონალებმა“ შექმნეს სხვების დასასჯელად და რეპრესიებისთვის, ახლა უკუღმა შემოუბრუნდათ. როგორც კი ამ ბობოლებს დაიჭერენ, საშუალო და დაბალი რგოლის ყველა სახელმწიფო მოხელე ითანამშრომლებს გამოძიებასთან და წავა საპროცესო შეთანხმებაზე, რომ მათ დანაშაული შეიმსუბუქონ. ყველას სათითაოდ გაშიფრავენ. სანამ მათ ძალაუფლება ჰქონდათ, იმდენად იყვნენ დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილები, იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებდა და ვერც კი გაუბედავდნენ კითხვების დასმას, ნელ-ნელა მოდიან აზრზე, რომ სხვა ვითარებაა. მათ მაგივრად ციხეში არავინ წავა, რეალურად „ნაციონალები“ ხელისუფლებიდან წასვლას არც აპირებდნენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ უგულავას შემდეგ სამართალდამცავების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვისაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა გახმაურებული მკვლელობების საქმეში და მის მიჩქმალვაში.

**— საუბარია, რომ უგულავას შემდეგ პროკურატურას კითხვები უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანთან გიგა ბოკერიასთან ექნება.**

– ის, რომ ციხის ბუნტში გიგა ბოკერია პირდაპირ ფიგურირებს, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, ის, რომ უშიშროების საბჭოს მრავალმილიონიანი დაფინანსება უმისამართოდ არის წასული, მიხეილ სააკაშვილისა და მისი ძალაუფლების შენარჩუნებაზე პიარისთვის, ამისთვის მას პასუხი უნდა მოეთხოვოს. მან კეთილი უნდა ინებოს და წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა, თუ რა რაში დაიხარჯა, ეს კი დღემდე არავის გაუკეთებია. ალბათ, არ არსებობს.

**— თქვენი აზრით, შეძლებს პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას?**

– წაიკითხეთ სააკაშვილის მიერ გავრცელებული განცხადება „ფეისბუკზე“? რა დღე დაუდგა სააკაშვილს!.. „ფეისბუკით“ ავრცელებს განცხადებებს. შევარდნაძის გარდაცვალებაზე წერს და მინიშნებებს აკეთებს, მიუხედავად მოთხოვნისა, ჩვენ ედუარდ შევარდნაძე არ დავაპატიმრეთო. ჯერ ერთი, მე რაღაც არ მახსოვს, რომ ასეთი მოთხოვნები იყო, ამ განცხადებებით ამბობს, მეც მეცით პატივი და არ დამიჭიროთო. იცით, რას გეტყვით? სააკაშვილს რომ ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდეს, ჩამოვიდოდა და აქ დაიწყებდა მიტინგების მოწყობას. ახლა შეიძლება ისარგებლოს ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებით, უცხოეთიდან ჩამომსვლელ მაღალი თანამდებობის პირებს შეიძლება სთხოვოს ხელშეუხებლობის გარანტია, სავარაუდოდ, შევარდნაძის დაკრძალვაზე ბევრი სტუმარი ჩამოვა, განსაკუთრებით გერმანიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა, მათ ჩამოჰყვეს იმ იმედით, რომ არ დაიჭერენ და მათვე გაჰყვეს უკან. დარწმუნებული იყავით, თუკი ის აქ ჩამოვა, აუცილებლად მოაწყობს სპექტაკლს აეროპორტშივე.



„სააკაშვილს კი ეგონა, რომ 2003 წელს რაღაც დამთავრდა, მაგრამ სინამდვილეში დიდი ეპოქა დამთავრდა შევარდნაძის გარდაცვალებასთან ერთად. საუბედუროდ, ის არის იმ პერიოდის მოღვაწე, როცა პოლიტიკაში გიგანტები იყვნენ. ახლა პოლიტიკაში ლილიპუტების დრო დადგა“

**— შევარდნაძის გარდაცვალებამ ბევრი ადამიანის ლუსტრირება მოახდინა. დღეს მას თითქმის ყველა მოიხსენიებს დადებით კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი შევარდნაძეს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა. ყველამ დაადასტურა მისდამი სიმპათია, ზვიადისტების გარდა.**

– ამ ადამიანს ისტორია მისცემს შეფასებას, ჩვენ გვინდა თუ არა, ის იყო დიდი პოლიტიკური ფიგურა. სააკაშვილს კი ეგონა, რომ 2003 წელს რაღაც დამთავრდაო, მაგრამ სინამდვილეში დიდი ეპოქა დამთავრდა, შევარდნაძის გარდაცვალებასთან ერთად. საუბედუროდ, ის არის იმ პერიოდის მოღვაწე, როცა პოლიტიკაში გიგანტები იყვნენ. ახლა პოლიტიკაში დადგა ლილიპუტების დრო. სხვათა შორის, მეც მირეკავენ და სამძიმარს მიცხადებენ, რადგან ეს იმ დონის ფიგურაა და მას ევროპაში ისეთ პატივს სცემენ, რომ, როგორც თანამოქალაქეს, გისამძიმრებენ.

**— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, რეფორმატორთა ჯგუფს შევარდნაძე რეალურად ამზადებდა, რომ მათთვის ხელისუფლება გადაებარებინა?**

– ის მომავალ ხელისუფლად მოიაზრებდა ზურაბ ჟვანიას, შევარდნაძისთვის პირადი ტრაგედია იყო ჟვანიას დაღუპვა. ვისაც სააკაშვილთან საქმე ჰქონია, მით უფრო შევარდნაძეს, თავში აზრადაც არ მოუვიდოდა მისი გაპრეზიდენტება, რადგან ის გაუწონასწორებელი ადამიანია და დაუშვებელი იყო მისთვის ქვეყნის ჩაბარება. მას ჟვანია ეიმედებოდა და თვლიდა, რომ კრიტიკულ სიტუაციებში წინდაუხედავ ნაბიჯს არ გადადგამდა, ქვეყანას საფრთხის წინაშე არ დააყენებდა.

**— სალომე ზურაბიშვილმა ასეთი განცხადება დაპოსტა: „ედუარდი წავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ მის მიერ შექმნილ მანქანას. დღეს ედუარდი წავიდა ამქვეყნიდან და ხვალ მიშა წავა სამარცხვინოდ ქართული პოლიტიკიდან, მაგრამ საქართველო ვერ გამოჯანმრთელდება, სანამ მათ წყობას და ორივეს სისტემურ დანაშაულს არ გაასამართლებენ...“**

– ქალბატონი სალომე საერთოდ ფრთოსანი ფრაზებით არის ცნობილი. იმისი არ იყოს – ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიანო. მერე რამდენი ხანი არ წავიდნენ ეს ქაჯები, ყველას კარგად გვახსოვს. ჯერ ერთი, ადამიანი რომ გარდაიცვლება, მას ვიღაცა მიაყოლო, თუნდაც სააკაშვილი, ეს არ უნდა თქვა. სააკაშვილი უკვე წასულია პრეზიდენტობიდან, თუ ლაპარაკია „ნაციონალურ მოძრაობაზე“, „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა გაიყვანოს ამომრჩეველმა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. აქვე მინდა ერთი რამ ვთქვა, შევარდნაძეს როგორც ცუდი, ასევე ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მაგრამ მთავარი, რაც თვალში საცემია, ის იყო უშიშარი ადამიანი, მე ამის შემსწრე ვარ და არაერთხელ. როცა სააკაშვილსა და შევარდნაძეს ადარებენ, მეტი დამაჯერებლობისთვის აიღონ ორი კადრი: გორში თვითმფრინავის გაგონებაზე რა დაემართა სააკაშვილს, მიწაზე რომ ფორთხავდა, შევარდნაძე კი არაერთხელ შესულა დაპირისპირებული ხალხის მასაში, ამას რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთში ტყვიების ზუზუნში იდგა და თავი არ წაუხრია.

**— ჩვენი ინტერვიუ დავასრულოთ ბიძინა ივანიშვილის არაორდინარული გადაწყვეტილებით. „ჯიდიეს“-ზე ის ახალ ამპლუაში მოგვევლინება, ეკა ბერიძესთან ერთად ტოქშოუს წამყვანი ხდება. ჩვენ, ჟურნალისტებს, კონკურენტი გამოგვიჩნდა. ამ გადაწყვეტილებამ შოკისმომგვრელი ეფექტი გამოიწვია. თქვენი აზრით, რისთვის სჭირდება ბიძინა ივანიშვილს ტელეწამყვანობა? ვისი ლუსტრირება და დამტკიცება სურს ამით?**

– პატივს ვცემ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ ასაკის, ვითარებისა და სიტუაციის მიუხედავად გადაწყვეტილების მიიღება და რაღაც ახლის დაწყება. რა გამოვა აქედან, ამას ჩვენ ყველანი, მასთან ერთად, ვნახავთ. არ გამოვრიცხავ, რომ ის ამ სფეროშიც წარმატებას მიაღწევს, ჩვენ ვნახეთ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკასთანაც არ ჰქონდა შეხება, მაგრამ გადაწყვიტა და თქვა, რომ „ნაციონალებს“ ხელისუფლებიდან გაუშვებდა და მოუგო არჩევნები... აქვს იმის ამბიცია, რომ ამ საქმეს მოჰკიდოს ხელი, არ მოსწონს ეს ქართველი ჟურნალისტები, აბა გაიხსენეთ, რამდენჯერ აქვს ეს ნათქვამი. ჰოდა, გადაწყვიტა, მე თვითონ მივალ და გავაკეთებ... მას ხელისუფლების კრიტიკა რომ უნდოდეს და ამისთვის აკეთებდეს გადაცემას, ერთ ბრიფინგს მოაწყობდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება. არა მგონია, რომ ამის გამო მოდიოდეს. მე მაინც ვფიქრობ, მას უნდა, ქართველ ჟურნალისტებს მასტერკლასი ჩაუტაროს. ყველა ერთად ვნახავთ, აქედან რა გამოვა...

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მშობიარის გარდაცვალების ფაქტს ჯანდაცვის სამინისტრო იკვლევს



ბათუმში მშობიარისა და ჩვილის გარდაცვალების ფაქტს ჯანდაცვის სამინისტრო იკვლევს. დავით სერგეენკოს განცხადებით, „ჯანდაცვის სამინისტრო შემთხვევიდან ორი საათის განმავლობაში უკვე ჩართული იყო ამაში. გვაქვს ოპერატიული შეტყობინების კავშირი. აღნიშნულ შემთხვევას დეტალურად გამოვიკვლევთ და შედეგებს გავაცნობთ საზოგადოებას“.

ბათუმში 27 წლის ფეხმძიმე ქალბატონი 6 ივლისს გარდაიცვალა. მომხდარში პაციენტის ოჯახის წევრები რეფერალური საავადმყოფოს ექიმებს ადანაშაულებენ. გარდაცვლილის მეუღლე აცხადებს, რომ ნაყოფის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საკეისრო კვეთას ითხოვდა, თუმცა ექიმებმა პაციენტი მაინც ფიზიოლოგიურად ამშობიარეს. ოჯახის წევრები ამტკიცებენ, რომ 27 წლის გოგონას შორენა დევაძის გარდაცვალება სწორედ ექიმების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. (ნიუპოსტი)



# სკანდალური ტელედაჭერები, რომელზეც „ნაციონალებს“ პასუხს აგებინებენ

გიგი უგულავას დაჭერამ „ნაციონალები“ ისევ ააყეფა და მათ კვლავ პოლიტიკურ დევნასა და შერჩევით მართლმსაჯულებაზე დაიწყეს ლაპარაკი. გიგა ბოკერია ძალიან აღშფოთებულია, რომ თურმე 60 მილიონი ლარის ქურდობაში ბრალდებული ექსმერი არ უნდა დაეჭირათ და ისევ გარეთ უნდა ენებივრა. უგულავას დანაშაული არაძალადობრივი და სამოხელეოა, „თეთრი საყელოს“ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, ამის გამო ნორმალურ ქვეყნებში ხალხს წინასწარ პატიმრობას არ უსჯიან და ციხეებში არ სვამენო, ამუნათებს სასამართლოს ბოკერია. პატიმრობაში მყოფმა გიგი უგულავამაც განცხადება გაავრცელა და მანაც ამ საკითხზე გააკეთა აქცენტი. უგულავა მთავრობას ადანაშაულებს, ბოროტმოქმედად წარმომაჩინა და ამით ჩემს უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევსო. უგულავა იქვე დასძენს, მოსამართლემ წინასწარი პატიმრობა სრულიად დაუსაბუთებლად მომისაჯაო. გესმით, 60 მილიონის ქურდობაში ბრალდებული უგულავა, რომელიც უცხოეთში აპირებდა გაქცევას, თურმე არ უნდა დაეჭირათ, გაქცევა უნდა ეცლიათ და იმ მილიონებით, უცხოეთში „გრიალისა“ და „გულაობის“ საშუალება უნდა მიეცათ. უგულავას 6 ბრალი აქვს წაყენებული, მაგრამ მოსამართლეს, თურმე, ყველაფერზე თვალი უნდა დაეხუჭა და როგორც გიგის ნებავდა, ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა.

პოლიტიკური ოპონენტების დევნა და რეპრესიები „ნაციონალთა“ მოგონილია. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა სააკაშვილის გუნდმა ხელისუფლება ჩაიგდო ხალში, უამრავი ადამიანი დაიჭირეს სწორედ სამოხელეო დანაშაულზე და არც ერთის მიმართ არ გამოუყენებიათ ალტერნატიული აღმკვეთი ღონისძიება, ყველას წინასწარ პატიმრობას უსჯიდნენ და ციხეებში ისტუმრებდნენ. მაშინ გიგა ბოკერიას არც „თეთრი საყელო“ გახსენებია და არ ის უთქვამს, რომ არაძალადობრივი დანაშაულის გამო ხალხს წინასწარ პატიმრობას არ უსჯიან. გიგი უგულავას მაშინ კრინტი არ დაუძრავს იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას და კრიმინალებს ეძახდა იმ ადამიანებს, რომელთა ბრალეულობაც სასამართლოს ჯერ არ ჰქონდა დადასტურებული.

რაც „ნაციონალებს“ ხალხი ჰყავთ დაჭერილი „თეთრი საყელოს“ დანაშაულის გამო, ყველას რა ჩამოთვლის, მაგრამ რამდენიმეს გახსენება მართლა აუცილებელია, რათა ხალხმაც გაიხსენოს, როგორ ეპყრობოდნენ ესენი პოლიტიკურ ოპონენტებს და რამდენად არაადამიანური მართლმსაჯულება ჰქონდათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია თბილისის „დინამოს“ საქმეზე ორჯერ დაიჭირეს. ჟორდანია სახელმწიფო მოხელეც არ ყოფილა, ბიზნესმენი და „დინამოს“ პრეზიდენტი როცა იყო. არსად გაქცევას არ აპირებდა, მაგრამ ორჯერვე წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. მერე, თუ რამე გააჩნდა, ყველაფერი წაართვეს. „დინამოშიც“ დაათმობინეს წილები, სხვა ბიზნესსტრუქტურებშიც, ორჯერვე საპროცესო გარიგებით გამოუშვეს, ერთხელ 1 მილიონი დოლარი გადაახდევინეს და მეორედ 3 მილიონი. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე მილიონი ნაღდი ფული ჟორდანიამ სააკაშვილის ემისრებს გადასცა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუფორმეს მეორედ საპროცესო გარიგება. მაშინ წესი იყო ასეთი, რაც საპროცესო გარიგებით ბიუჯეტში შეჰქონდათ დაჭერილებს, ამაზე მეტი კიდევ „ქეშად“ უნდა გადაეხადათ ხელისუფლებისთვის, თორემ ციხეს თავს ვერ დააღწევდნენ. მერაბ ჟორდანიას ციხეში ყოფნისას მამა გარდაეცვალა, სახელოვანი ფეხბურთელი ლევან ჟორდანია და მაშინდელმა პროკურატურამ იმის საშუალება არ მისცა პატიმარს, 2 საათით ციხის ბადრაგით სახლში მიეყვანათ და მამა დაეტირა. ჟორდანია იმიტომ დაიჭირა სააკაშვილმა, რომ შეუთვალა, სფფ-ს პრეზიდენტობიდან გადადექი, ჩემი კაცი უნდა დავსვა პრეზიდენტადო, მაგრამ ჟორდანიამ უარით უპასუხა.

ედუარდ შევარდნაძის სიძის, „მაგთიკომის“ მეწილის გია ჯოხთაბერიძის ტელედაჭერაც პოლიტიკური დევნა იყო, მეტი არაფერი. თავად ედუარდ შევარდნაძეს ხელი ვერ ახლო სააკაშვილმა, რადგან გავლენიანმა უცხოელმა პოლიტიკოსებმა კატეგორიულად აუკრძალეს, მისთვის ბუზის აფრენაც კი. ცხენს რომ ვერ მისწვდა, უნაგირს დაუწყო მტვრევა მიშამ. 2 თვით გამოკეტა ჯოხთაბერიძე ციხეში. მას გადასახადების გადაუხდელობას აბრალებდნენ. 10 მილიონი გადაახდევინეს და საპროცესო გარიგებით გაუშვეს.

თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორს, შოთა მეფარიძესაც სამოხელეო დანაშაულს ედავებოდა პროკურატურა. 83 წლის კაცი, რომელსაც დაახლოებით 10 სხვადასხვა დაავადება სჭირდა, წინასწარ პატიმრობაში გაუშვა სასამართლომ. ესეც საპროცესო გარიგებით გამოუშვეს – 100 000 ლარი გადაახდევინეს, თუმცა, მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ მეფარიძეს თავისუფლება კიდევ 1 მილიონი დოლარი დაუჯდა და ეს თანხა თბილისის იმჟამინდელმა მთავარმა პროკურორმა, ვალერი გრიგალაშვილმა საკუთარი ხელით მიუტანა სააკაშვილსო. „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა და წვეთოვნები ედგა. 2004 წლის 15 იანვარს, საკუთარი თვალით ვნახე საავადმყოფოში აკაკი ჩხაიძე, ინტერვიუს ჩასაწერად მივედი, მაგრამ უარი მითხრა, შეუძლოდ ვარო. კაცი ძლივს ლაპარაკობდა, მართლა საკმაოდ მძიმედ იყო და ლოგინიდან ვერ დგებოდა. გაოგნებული დავრჩი, რომ მეორე დღეს, დილაუთენია, გია ბარამიძემ სპეცოპერაცია ჩაატარა და აკაკი ჩხაიძე საავადმყოფოდან მოიტაცა, თბილისში კი ვერტმფრენით ჩამოიყვანეს და თავს ჟურნალისტები დაახვიეს. ჩხაიძეს სამოხელეო დანაშაულში ედებოდა ბრალი, არც არსად გამქცევი იყო და ვერც გაიქცეოდა, იმდენად ავად იყო, მაგრამ საავადმყოფოდან მოტაცებულ კაცს, 3-თვიანი ციხე მიუსაჯეს.

საავადმყოფოში დააპატიმრეს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, დავით მირცხულავა – გულის შეტევით იწვა კლინიკაში. გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი გვარწმუნებდა, „მირცხულავა სიმულანტობს და არაფერი აწუხებსო“ და ისიც ციხეში გაუშვეს, საბოლოოდ, 9 წელი მიუსაჯეს და „სიმულანტმა“ 2 ინფარქტი გადაიტანა ციხეში. სულხან მოლაშვილსაც „თეთრი საყელოს“ დანაშაულს ედავებოდნენ – 3 მილიონის გაფლანგვას ბიუჯეტიდან. აბა, ეს 3 მილიონი უგულავას 60 მილიონთან რა მოსატანია? მოლაშვილსაც წინასწარ პატიმრობაში უკრეს თავი და მერე მასაც 9 წელი მიუსაჯეს. მოლაშვილი ციხეში გიგა ბოკერიამ და ვალერი გრიგალაშვილმა აწამეს – ამას თავად მოლაშვილი ირწმუნება. ამ გიგი უგულავასა და სხვა დაჭერილ „ნაციონალებს“ არ აწამებენ მაინც და იმ ჯოჯოხეთურ პირობებში არ უწევთ ყოფნა, რაც მათ დროს იყო ციხეებში.

ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, ყველა მიშა სააკაშვილის, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას პოლიტიკური ოპონენტი იყო, რადგან ან შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, ან რაღაც ფორმით იყვნენ კავშირში ამ ხელისუფლებასთან. პოლიტიკური ნიშნით ხალხის დაჭერა „ნაციონალებისთვის“ იმთავითვე ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ესენი რომ შერჩათ, აი, მერე გადაი...ეს თავზე და გაავსეს ციხეები პატიმრებით. გიგი უგულავას ბრალდებები, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, ყველასას ერთად ემატება. სასამართლო კი არა, ბერიასდროინდელი „ტროიკის“ მსგავსი ჰყავდა მიხეილ სააკაშვილს და ყველას, ვინც მის ნებას არ ემორჩილებოდა, დაუნანებლად უშვებდა ციხეში. ახლა მოინდომეს „თეთრი საყელო“ გიგი უგულავასთვის.

გიგი უგულავა რა ჩიტიც არის, იმ გალიაშიც ზის და ამ „ნაციონალებმა“ კიდევ ცოტა ლამპას დაუწიეთ, ვიდრე ხალხი მთლად ჭკუაზე არ გადასულა. მადლობა თქვით, რომ თქვენს დამნაშავე ლიდერებს ცივილიზებული წესით სჯიან და თქვენგან განაწამები და გაუბედურებული ხალხი „ლინჩის წესით“ არ ასამართლებს.

ლევან ჯავახიშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ გაძვირდა საწვავი და უნდა ველოდოთ თუ არა ფასების კლებას



„ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი“ ივლისში საწვავზე ფასების კლებას პროგნოზირებს. როგორც კავშირში აცხადებენ, მაისსა და ივნისში საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე Platt's-ის მიხედვით (რომელზეცაა დამოკიდებული საქართველოში საწვავის ფასი) გაიზარდა. კერძოდ, ბენზინის ფასი გაზრდილია 58 დოლარით 1033 დოლარამდე/ტონაზე; დიზელის ფასი მომატებულია 27 დოლარით 911.50 დოლარამდე/ტონაზე; ფასის ზრდა განპირობებული იყო ძირითადად ერაყში არსებული კრიზისით, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყანაა. დღეისთვის საცალო ქსელში საწვავის საშუალო ფასი გაიზარდა: სუპერის ტიპის ბენზინი – 2-3 თეთრით/ლიტრაზე, პრემიუმის ტიპის ბენზინი – 2-5 თეთრით/ლიტრზე, ევრო რეგულარი – 2-5 თეთრით/ლიტრზე, რეგულარი – 2-5 თეთრით/ლიტრზე, ევრო დიზელი – 2-4 თეთრით/ლიტრზე, გ-62 დიზელი – 2-4 თეთრით/ლიტრზე.

„ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი“ ივლისში საწვავის ფასის კლებაზე საუბრობს, მათი თქმით, ნავთობზე ფასი მცირდება. დღეისთვის ნავთობის ფასი 11 ივნისის შემდგომ ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე დგას. ფასის კლება განპირობებულია შემდეგით: ერაყში არსებული კრიზისი გავლენას ვერ ახდენს როგორც ნავთობის მოპოვებაზე, ასევე მის ექსპორტზე; ლიბია აპირებს ნავთობის ექსპორტის განახლებას 2 ტერმინალის საშუალებით (აღნიშნული ტერმინალები ერთწლიან ბლოკადაში იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც ლიბიის ნავთობის ექსპორტი 75%-ით შემცირდა). შესაბამისად, მიმდინარე თვეში შემცირებულია საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე Platt's-ის მიხედვით. კერძოდ, ბენზინის ფასი შემცირებული 11.50 დოლარით/ტონაზე, ხოლო დიზელის საწვავის ფასი – 13.75 დოლარით/ტონაზე. (ნიუპოსტი)

## „ერთმა მოსამართლემ მთელი ოჯახის საქმე განიხილა და 8 ბავშვი მეურვის გარეშე დატოვა“



თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, შეისწავლონ, როგორ დაეწერა მოსამართლე გიორგი გოგინაშვილს მისი აღკვეთის საკითხი. მისი თქმით, პროკურატურამ ხელოვნურად მოახდინა ინსპირირება, რომ მისი საქმე გოგინაშვილს განეხილა.

„პროკურატურამ იცოდა, როგორ შეეტანა შუამდგომლობა, რომ საქმე გოგინაშვილს დასწეროდა. ეს არის მოსამართლე, რომელმაც ჩემს ქვისლს შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. არ შეიძლება ერთმა მოსამართლემ მთელი ოჯახის საქმე განიხილოს, მეურვეები გაუშვას ციხეში და 8 ბავშვი დატოვოს მეურვეების გარეშე. მივმართავ ყველა თბილისელს, პასუხი გასცეს ამ უკანონობას. საქართველოს შავი ჭირი უდგას ივანიშვილის სახით“, – განაცხადა უგულავამ. (ნიუპოსტი)

## მატროსოვის ციხესთან უგულავას მხარდამჭერი აქცია გაიმართა

თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას პატიმრობა მისმა მხარდამჭერებმა გააპროტესტეს. მხარდამჭერი აქცია ე.წ. მატროსოვის ციხესთან სოციალური ქსელის მეშვეობით დაიგეგმა. აქციის მონაწილეებმა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის დაკავებასთან ერთად ბაჩო ახალაიასთვის ახალი ბრალის წაყენებაც გააპროტესტეს. მათ, ასევე, სოლიდარობა გამოუცხადეს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვანო მერაბიშვილს.

„აქ მოვედით იმისთვის, რომ გიგი უგულავას გამოვუცხადოთ სოლიდარობა. გიგი უგულავა არის პოლიტიკური პატიმარი და ეს დღეს პატარა ბავშვმაც იცის. გვინდა ვუთხრათ საზოგადოებას, რომ ბრძოლა წავაგეთ, მაგრამ აუცილებლად მოვიგებთ ომს“. – განაცხადა საზოგადოებრივი კავშირის „დროას“ წევრმა ლევან ხაბეიშვილმა. (ნიუპოსტი)

# სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს კონკურსს პროფესორის (4 წლის ვადით), ასოცირებული პროფესორის (4 წლის ვადით) და ასისტენტ პროფესორის (4 წლის ვადით) აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის 2014-2015 სასწავლო წლიდან

***კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:***

1. პირადი განცხადება რექტორის სახელზე
2. CV
3. პირადობის მოწმობის ასლი
4. ორი ფოტოსურათი (3/4)
5. შესაბამისი განათლების, სამუშაო სტაჟის, კვალიფიკაციისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ნოტარიულად დამოწმებული ასლი
6. პორტფოლიო – მხატვრულ ნამუშევართა ალბომი ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კან-დიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს
7. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მიმართულების, დარგის/სპეციალობის განვითარების კონცეფცია ან/და საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგ¬რამა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გათვალისწინებით
8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ მიმართულების, დარგის/სპეციალობის განვითარების კონცეფცია, საბაკალავრო პროგრამა ან/და სამაგისტრო პროგრამა ან/და სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი/სილაბუსები) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გათვალისწინებით.
9. ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი/სილაბუსები) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გათვალისწინებით.

***შენიშვნა:*** განცხადებისა და სილაბუსის ნიმუში იხილეთ სამხატვრო აკადემიის საიტზე www.art.edu.ge

***შენიშვნა:***

• აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის დამატებითი დეტალური ინფორმაცია საკონკურსო პირობებისა და წარმოსადგენი საბუთების შესახებ მოცემულია შესაბამისი ფაკულტეტების განაცხადება

• განცხადების, სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა იხილეთ სამხატვრო აკადემიის საიტზე www.art.edu.ge

• აკადემიური პერსონალის წლიური აკადემიური დატვირთვა, სამუშაო საათები, სავალდებულო სალექციო დატვირთვა და შრომითი ხელშეკრულების კატეგორია განისაზღვრება 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებამდე.

***თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და მოთხოვნები თსსა ფაკულტეტების მიხედვით***

## <u>არქიტექტურის ფაკულტეტი</u>

### <u>პროფესორი</u>

1. არქიტექტურის მიმართულებით - 1 აკადემიური თანამდებობა
2. გარემოს დიზაინისა და ინტერიერის დიზაინის მიმართულებით - 1 აკადემიური თანამდებობა

***პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

• პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ ათწლიანი სტა¬ჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

• ინფორმაცია შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის გამოცდილების შესახებ

***პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• კონფერენციებში და კონკურსებში მონაწილეობა.

• სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

• გამოქვეყნებული სტატიები (მისი ავტორობით ან/და მის შესახებ).

• საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

**პროფესორი უზრუნველყოფს:**

• ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის მეთვალყურეობას;

• ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით წყვეტს ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებს.

### <u>ასოცირებული პროფესორი</u>

1. გარემოს დიზაინის მიმართულებით – 1 აკადემიური თანამდებობა
2. ინტერიერის დიზაინის მიმართულებით – 1 აკადემიური თანამდებობა
3. არქიტექტურის მიმართულებით – 8 აკადემიური თანამდებობა

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

• პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ ექვსწლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

• ინფორმაცია შემოქმედებითი ან/და კვლევითი მუშაობის გამოცდილების შესახებ

**ასოცირებული პროფესორი უზრუნველყოფს:**

• საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მოდიფიცირებას

• მიმართულების შესაბამისად ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან, კონსულტაციებს

• სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მომზადებას და სტუდენტების მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, შემოქმედებით კონკურსებში და სხვ.

• პროექტების და გრანტების მოძიებას

• ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას (წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, განსახილველი საკითხებისათვის მომზადება და სხვ.)

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• კონფერენციებში და კონკურსებში მონაწილეობა.

• სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

• გამოქვეყნებული სტატიები (მისი ავტორობით ან/და მის შესახებ).

• საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

### <u>*ასისტენტ პროფესორი*</u>

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ 65 წელს მიღწეულ პირებს;***

1. გარემოს დიზაინის მიმართულებით – 1 აკადემიური თანამდებობა
2. ინტერიერის დიზაინის მიმართულებით – 1 აკადემიური თანამდებობა
3. არქიტექტურის მიმართულებით – 8 აკადემიური თანამდებობა

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ სამწლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• კონფერენციებში და კონკურსებში მონაწილეობა.

• სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

***ასისტენტ პროფესორი უზრუნველყოფს:***

• ასისტენტ პროფესორი ასრულებს სალექციო/პრაქტიკულ საქმიანობას დამოუკიდებლად;

• აქტიურად მონაწილეობს ფაკულტეტის შემოქმედებით მუშაობაში.

• მონაწილეობას იღებს საპროექტო დავალებების, პროექტების განმარტებითი ბარათების და რეცენზიების შედგენაში.

• სამუშაო დღის განმავლობაში ასრულებს დეკანატის მიერ დავალებულ მიმდინარე სამუშაოს.

## სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი

***პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ 65 წელს მიღწეულ პირებს;***

### პროფესორი

სახვითი ხელოვნება: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, თეატრის მხატვრობა, კინო-ტელე მხატვრობა - 3 აკადემიური თანამდებობა

***პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• შესაბამისი განათლების (სახვითი ხელოვნების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი) და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი.

***პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ ექვსწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი განათლების რეფორმის შემდგომ პერიოდში (2004 წლიდან)

• დარგის მიმართულებით სამეცნიერო მეთოდური ნაშრომი, პუბლიკაცია ანწიგნი/სახელმძღვანელო ადმინისტრაციული ან აკადემიური მუშაობის გამოცდილება განათლების რეფორმის შემდგომ პერიოდში(2004 წლიდან)

• საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან შესაბამისი ინფორმაცია.

### ასოცირებული პროფესორი

ფერწერა - 3 აკადემიური თანამდებობა

გრაფიკა - 2 აკადემიური თანამდებობა

ქანდაკება -1 აკადემიური თანამდებობა

ხატვა - 1 აკადემიური თანამდებობა

თეატრის მხატვრობა - 1 აკადემიური თანამდებობა

ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება (აკადემიის საბაზისო მოდული) - 1 აკადემიური თანამდებობა

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• შესაბამისი განათლების (სახვითი ხელოვნების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი) და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი.

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ ექვსწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟი განათლების რეფორმის შემდგომ პერიოდში (2004 წლიდან)

• სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი ან პუბლიკაცია დარგის ან დისციპლინის განვითარების სფეროში ბოლო სამი წლის მანძილზე

• საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან შესაბამისი ინფორმაცია.

### ასისტენტ პროფესორი

ფერწერა - 2 აკადემიური თანამდებობა

გრაფიკა - 1 აკადემიური თანამდებობა

თეატრის მხატვრობა - 1 აკადემიური თანამდებობა

კინო-ტელე მხატვრობა - 1 აკადემიური თანამდებობა

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• შესაბამისი განათლების (სახვითი ხელოვნების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი) და სა¬მეც¬ნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი.

• პორტფოლიო - მხატვრულ ნამუშევართა ალბომი ან სხვა სახის ვიზუალური მასალა, რომელიც კანდიდატის აზრით დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს ( მოქმედ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შინაარსობრივი თანხვედრა და ვიზუალური შესაბამისობა).

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ სამწლიანი სტაჟი განათლების რეფორმის შემდგომ პერიოდში.

## <u>დიზაინის ფაკულტეტი</u>

### <u>პროფესორი</u>

1. ფაკულტეტის სასწავლო და შემოქმედებითი მუშაობის ხელმძღვანელობა, საბაკალავრო და სამაგისტრო საფაკულტეტო პროგრამების კოორდინირება - 1აკადემიური თანამდებობა
2. ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა, საბაკალავრო და სამაგისტრო საფაკულტეტო პროგრამების კოორდინირება - 1 აკადემიური თანამდებობა
3. სასწავლო-შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობა და კოორდინირება მოდის დიზაინის მიმართულებაზე - 1აკადემიური თანამდებობა

***პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• დიზაინის დარგის მაგისტრის ან მასთან გათნაბრებული საგანმანათლებლო დოკუმენტის (დიპლომი) ასლი

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მინიმუმ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

***პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში მონაწილეობა.

• მასტერკლასებში, ვორქშოფებში, ფესტივალებში, კონფერენციებში და კონკურსებში მონაწილეობა.

• სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

• გამოქვეყნებული სტატიები:

ა) ფაკულტეტის შემოქმედებითი მუშაობის ხელმძღვანელობის და მოდის დიზაინის მიმართულებაზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობის კანდიდატებისათვის მისი ავტორობით ან/და მის შესახებ.

ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის კანდიდატისათვის მისი ავტორობით და მის შესახებ.

• საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

• ფაკულტეტის (მიმართულების) სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის პროგრამული უზრუნველყოფისა და მეთოდური წარმართვის პერსპექტიული ხედვა.

• სპეციალობის დისციპლინების სილაბუსი/სილაბუსები.

**პროფესორი უზრუნველყოფს:**

ა) ფაკულტეტის (მიმართულების) სასწავლო-შემოქმედებითი პროგრამების მოდიფიცირებას და სრულყოფას.

ბ) ფაკულტეტის (მიმართულების) სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის წარმართვას.

დ) ფაკულტეტის (მიმართულების) პროფილით სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობას.

ე) სხვადასხვა სახის საორგანიზაციო მუშაობას.

ვ) ფაკულტეტის (მიმართულების) შემოქმედებით სფეროს.

ზ) ფაკულტეტის (მიმართულების) სამეცნიერო-კვლევით სფეროს.

თ) ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით წყვეტს ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საკითხებს.

### <u>ასოცირებული პროფესორი</u>

**მხატვრული ტექსტილის მიმართულება:**

• სპეცკომპოზიცია, მასალაში შესრულება, პრეზენტაცია (გობელენი, ფარდაგი, ხალიჩა, თექა, ბატიკა ქსოვილზე ცივი და ცხელი მოხატვის ტექნიკით, პრინტი ქსოვილზე, შიბორი) საბაკალავრო პროგრამისათვის - 1აკადემიური თანამდებობა

• სპეცკომპოზიცია, მასალაში შესრულება, პრეზენტაცია, ინდივიდუალური ტექნიკები და მეთოდები სამაგისტრო პროგრამისათვის - 1აკადემიური თანამდებობა

**მოდის დიზაინის მიმართულება:**

• კოსტუმის ნაწარმის კომპოზიცია, სპეცკომპოზიციის საფუძვლები, ფერადი გრაფიკა, კოსტუმოგრაფიკა - 1 აკადემიური თანამდებობა

• ტრიკოტაჟის ნაწარმის კომპოზიცია, სპეცკომპოზიციის საფუძვლები, ფერადი გრაფიკა, კოსტუმოგრაფიკა - 1 აკადემიური თანამდებობა

• ტყავის ნაწარმის კომპოზიცია, სპეცკომპოზიციის საფუძვლები, ფერადი გრაფიკა, კოსტუმოგრაფიკა - 1 აკადემიური თანამდებობა

• მოდელირება მოხატვის წესით, სპეცკომპოზიციის საფუძვლები, ფერადი გრაფიკა, კოსტუმოგრაფიკა - 1აკადემიური თანამდებობა

მხატვრული მინის მიმართულება:

• მხატვრული მინის კომპოზიცია, მასალაში შესრულება საბაკალავრო პროგრამისათვის - 1 აკადემიური თანამდებობა

• მხატვრული მინის პროექტირება-მოდელირება, მასალაში შესრულება, ვიტრაჟი ტიფანის ტექნიკით, სამაგისტრო პროგრამისათვის - 1 აკადემიური თანამდებობა

**მხატვრული კერამიკის მიმართულება:**

• სამრეწველო-უტილიტარული, სერიული მხატვრული კერამიკის წარმოების ტექნიკები და მეთოდები (ტიპიური მასალები: ფაიფური, ფაიანსი, ქაშანური) - 1 აკადემიური თანამდებობა

• საავტორო-საგამოფენო, უნიკალური და სინთეზური მხატვრული კერამიკა. დამზადების თანამედროვე კომბინირებული და ინდივიდუალური ტექნიკები და მეთოდები - 1 აკადემიური თანამდებობა

**ხის მხატვრული დამუშავების და ავეჯის მიმართულება:**

• ავეჯის დიზაინის და ხის მხატვრული დამუშავების კომპოზიცია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის - 1 აკადემიური თანამდებობა

**სამკაულის და ლითონის დეკორატიული პლასტიკის მიმართულება:**

• პროექტირება-მოდელირება, მხატვრული ნიმუშების დამუშავების მეთოდები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის - 1 აკადემიური თანამდებობა

**სამრეწველო დიზაინის მიმართულება:**

• კომპოზიციის საფუძვლები, დიზაინპროექტირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის - 1აკადემიური თანამდებობა

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• დიზაინის დარგის მაგისტრის ან მასთან გათნაბრებული საგანმანათლებლო დოკუმენტის (დიპლომი) ასლი

• უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მინიმუმ 5 (ხუთი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში მონაწილეობა.

• მასტერკლასებში, ვორქშოფებში, ფესტივალებში, კონფერენციებში და კონკურშებში მონაწილეობა.

• სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობა.

• გამოქვეყნებული სტატიები (მისი ავტორობით ან/და მის შესახებ).

• საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.
• მიმართულების (დისციპლინის) სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის პროგრამული უზრუნველყოფისა და მეთოდური წარმართვის პერსპექტიული ხედვა.

**ასოცირებული პროფესორი უზრუნველყოფს:**
• მიმართულების (დისციპლინის) სასწავლო-შემოქმედებითი პროგრამების მოდიფიცირებას და სრულყოფას.
• მიმართულების (დისციპლინის) სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის წარმართვას.
• მიმართულების (დისციპლინის) პროფილით სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობას.
• საორგანიზაციო მუშაობას.

**ასისტენტ პროფესორი**
**მხატვრული ტექსტილის მიმართულება:**

• მხატვრული ტექსტილის სწავლებასა და შექმნასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები (გობელენი, ფარდაგი, ხალიჩა, თექა, ბატიკა ქსოვილზე ცივი და ცხელი მოხატვის ტექნიკით) - 1 აკადემიური თანამდებობა
მოდის დიზაინის მიმართულება:
• კოსტუმოგრაფიკა, ფერადი გრაფიკა, პრაქტიკული მუშაობა - 1 აკადემიური თანამდებობა
• მხატვრულ-ტექნიკური მოდელირება, ლექცია-პრაქტიკუმი - 1 აკადემიური თანამდებობა
• კოსტუმის ტექსტილის დიზაინი, ტექნოლოგია, მასალაში შესრულება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის - 1 აკადემიური თანამდებობა

**მხატვრული მინის მიმართულება:**
• მასალაში შესრულება - მინის სენდვიჩები, ფურცლოვან მინაში შესრულებული მცირე პლასტიკა - 1 აკადემიური თანამდებობა
• მასალაში შესრულება - მოლირება, ვიტრაჟი - 1 აკადემიური თანამდებობა

**მხატვრული კერამიკის მიმართულება:**
• მხატვრული კერამიკის წარმოების საბაზისო მეთოდები. კომპოზიციის საფუძვლები - 1 აკადემიური თანამდებობა

**ხის მხატვრული დამუშავების და ავეჯის მიმართულება:**
• ხის მხატვრული დამუშავება - 1 აკადემიური თანამდებობა
• ავეჯის დამზადების ტექნოლოგია - 1 აკადემიური თანამდებობა
• ციფრული საპროექტო ტექნოლოგიები - 1 აკადემიური თანამდებობა
**სამკაულის და ლითონის დეკორატიული პლასტიკის მიმართულება:**
• ქვის და ლითონის მხატვრული დამუშავება (ჭედვა) - 1 აკადემიური თანამდებობა
• საიუველირო პლასტიკა - 1 აკადემიური თანამდებობა
• მცირე პლასტიკა (ტიხრული მინანქარი) - 1 აკადემიური თანამდებობა
სამრეწველო დიზაინის მიმართულება:
• მაკეტირება-მოდელირება (მუყაო, ლითონი, პლასტიკური და პოლიმერული მასალები) - 1 აკადემიური თანამდებობა
• მასალაში შესრულება (სახარატო, საზეინკლო, სამოდელო და სამღებრო უნარები) - 1 აკადემიური თანამდებობა
• ციფრული საპროექტო ტექნოლოგიები - 1აკადემიური თანამდებობა

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო დოკუმენტის (დიპლომი) ასლი

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• გამოფენებში, კონკურსებში, ფესტივალებში და სხვ. მონაწილეობა.
• პუბლიკაციები (მისი ავტორობით ან/და მის შესახებ).

**ასისტენტ პროფესორი უზრუნველყოფს:**
• სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის წარმართვას.
• სრული ან/და ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობით სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.
• სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობას.

**რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი**

***პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ 65 წელს მიღწეულ პირებს;***

**პროფესორი**
1. ხელოვნების ისტორიის და თეორიის მიმართულებით - 2 აკადემიური თანამდებობა
2. რესტავრაციის მიმართულებით - 2 აკადემიური თანამდებობა

***პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
• პედაგოგიური (უმაღლეს სასწავლებელში) და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი

***პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• საერთაშორისო ან რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
•გამოქვეყნებული შრომები: მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და ა.შ. (ბოლო 10 წელი)
• საერთაშორისო და რესპუბლიკურ საგრანტო პროექტებში მონაწი¬ლეობა
• სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ოპონირება, რეცენზენტობა (ბოლო 5 წელი)
• სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა;
წიგნის/კრებულის, ნაშრომის რედაქტორობა, რეცენზენტობა
• პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, ხოლო თუ კონკურსის მონაწილე არ ასწავლიდა თსს აკადემიაში უნდა წაიკითხოს ლექცია კომისიის წინაშე.

**პროფესორი უზრუნველყოფს:**

• საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მოდიფიცირებას
• საგნების, მოდულების მომზადებას
• სტუდენტური სამეცნიერო კონფერეციის მომზადებას, კონსულტაციას
• მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.
• პროექტების და გრანტების მოძიებას
• ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის მონიტორინგს
• შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელობას
• ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას (ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, განსახილველი საკითხებისათვის მომზადება)

**ასოცირებული პროფესორი**

1. შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიის მიმართულებით - 2 აკადემიური თანამდებობა
2. თანამედროვე ხელოვნების ისტორიის მიმართულებით - 2 აკადემიური თანამდებობა
3. რესტავრაციის მიმართულებით - 3 აკადემიური თანამდებობა
4. კულტუროლოგიის მიმართულებით - 2 აკადემიური თანამდებობა

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
• პედაგოგიური (უმაღლეს სასწავლებელში) და კვლევითი მუშაობის არანაკლებ ექვსწლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• საერთაშორისო ან რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონა-წილეობა
• გამოქვეყნებული შრომები: მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და ა.შ. (ბოლო 10 წელი)
• საერთაშორისო და რესპუბლიკურ საგრანტო პროექტებში მონაწი¬ლეობა
• სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ოპონირება, რეცენზენტობა (ბოლო 5 წელი)
• სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორობა, რედკოლეგიის წევრობა; წიგნის/კრებულის, ნაშრომის რედაქტორობა, რეცენზენტობა.
• ასოცირებული პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, ხოლო თუ კონკურსის მონაწილე არ ასწავლიდა თსს აკადემიაში უნდა წაიკითხოს ლექცია კომისიის წინაშე.

**ასოცირებული პროფესორი უზრუნველყოფს:**

• საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მოდიფიცირებას
• საგნების, მოდულების მომზადებას
• სტუდენტური სამეცნიერო კონფერეციის მომზადებას, კონსულტაციას
• მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.
• პროექტების და გრანტების მოძიებას
• ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის მონიტორინგს
• შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელობას
• ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას (ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, განსახილველი საკითხებისათვის მომზადება)

**ასისტენტ პროფესორი**

1. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით - 1 აკადემიური თანამდებობა

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
• პედაგოგიური (უმაღლეს სასწავლებელში) და კვლევითი მუშაობის არანაკლებ სამწლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი
• ასისტენტ პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, ხოლო თუ კონკურსის მონაწილე არ ასწავლიდა თსს აკადემიაში უნდა წაიკითხოს ლექცია კომისიის წინაშე.

***ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• საერთაშორისო ან რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
• გამოქვეყნებული შრომები: მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და ა.შ. (ბოლო 10 წელი)
• საერთაშორისო და რესპუბლიკურ საგრანტო პროექტებში მონაწი¬ლეობა
• სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ოპონირება, რეცენზენტობა (ბოლო 5 წელი)
• ასისტენტ პროფესორის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, ხოლო თუ კონკურსის მონაწილე არ ასწავლიდა თსს აკადემიაში უნდა წაიკითხოს ლექცია კომისიის წინაშე.

**ასისტენტ პროფესორი უზრუნველყოფს:**

• სასწავლო კურსის პროგრამის/სილაბუსის მომზადებას
• სემინარების ჩატარებას
• სტუდენტური სამეცნიერო კონფერეციის მომზადებას, კონსულტაციას
• მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.
• პროექტების და გრანტების მოძიებას
• ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის მონიტორინგს
• საზაფხულო პრაქტიკის ხელმძღვანელობას
• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიზნით მოწყობილი ექსკურსიების ხელმძღვანელობას
• ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას (ფაკულტეტის საბჭოს სხდომები, განსახილველი საკითხებისათვის მომზადება)
• სხვადასხვა სახის საორგანიზაციო და დამხმარე სამუშაოს შესრულებას ფაკულტეტის საჭიროების მიხედვით (სასწავლო ცხრილების შედგენა, კონფერენციებისა და სხვა სახის აქტივობების ორგანიზება და სხვ.).

**მედიახელოვნების ფაკულტეტი**
***პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ 65 წელს მიღწეულ პირებს;***

**პროფესორი**

IT ტექნოლოგიები და კომპიუტერული გრაფიკა - 1 აკადემიური თანამდებობა
გეომეტრიული მოდელირება - 1 აკადემიური თანამდებობა
მედიახელოვნება- 1 აკადემიური თანამდებობა
გრაფიკული დიზაინი - 1აკადემიური თანამდებობა
დაპროექტება და დიზაინი - 1 აკადემიური თანამდებობა
მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია) - 1 აკადემიური თანამდებობა

***პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:***

• მედიახელოვნების ფაკულტეტის სამეცნიერო — სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულებების (IT ტექნოლოგიები და კომპიუტერული გრაფიკა,გეომეტრიული მოდელირება, მედიახელოვნება და მულტიმედია დიზაინი) პროფესორს სავალდებულოა ჰქონდეს სამეცნიერო აკადემიური ხარისხის (Phd) დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
• სამეცნიერო -პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ ექვსწლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი
• სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)

***პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• გამოქვეყნებული შრომები/პროექტები
• საერთაშორისო ან რესპუბლიკური გამოფენები
• მასტერკლასები, ვორკშოპები, კინოფესტივალებში მონაწილეობა
• მონოგრაფია
• სახელმძღვანელო
• საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სტატიები.
• საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონფერენციებში მონაწილეობა
• სადოქტორო ნაშრომების, სამაგისტრო ნაშრომების, საბაკალავრონ ა შ - რომების, ხელმძღვანელობა
• ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა
• წიგნის /კრებულის/რედაქტორობა, რეცენზენტობა
• კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობა - დამადასტურებელი სერტიფიკატი ან/და ამ ტექნოლოგიებით შესრულებული ნამუშევრები

***პროფესორი უზრუნველყოფს***
• დისციპლინის სწავლების მიზნების განსაზღვრას კვლევითი კომპონენტის გათვალისწინებით.
• დისციპლინის სწავლების სტრუქტურის განსაზღვრას
• ფაკულტეტის მიმართულებებზე ხედვა/კონცეფციას

**ასოცირებული პროფესორი**

**მედიახელოვნება:**
ასოცირებული პროფესორი (ანიმაცია) - 1 აკადემიური თანამდებობა
ასოცირებული პროფესორი (ადვერტოლოგია) - 1 აკადემიური თანამდებობა
**დაპროექტება და დიზაინი:**
ასოცირებული პროფესორი (3D მოდელირება, ვიზუალიზაცია, რენდერი) - 1 აკადემიური თანამდებობა
მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია):
ასოცირებული პროფესორი (ფოტოგრაფია) - 1 აკადემიური თანამდებობა

***ასოცირებული პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

• სამეცნიერო აკადემიური ხარისხი (Phd)
• გამოქვეყნებული შრომები
• საერთაშორისო ან რესპუბლიკური გამოფენებში მონაწილეობა
• მასტერკლასები, ვორკშოპები, კინოფესტივალებში მონაწილეობა
• საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სტატიები და გამოფენები.
• საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონფერენციებში მონაწილეობა
• სამაგისტრო ნაშრომების, საბაკალავრო ნაშრომების, ხელმძღვანელობა (კონსულტანტობა, ოპონირება)

**ასოცირებული პროფესორი უზრუნველყოფს**

• ფაკულტეტზე მოდულებისა და მიმართულებების სასწავლო პროცესის წარმართვას.
• სრულ პროფესორთან ერთად ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე პრიორიტეტული დარგების სასწავლო-შემოქმედებითი პროგრამების მოდიფიცირებასა და სრულყოფას.
• სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამუშაოს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. მონაწილეობას ილებს გამოფენების, სემინარების, ვორკშოპების, კონფერენციების, მასტერკლასების ჩატარებაში.

**ასისტენტ პროფესორი**

**IT ტექნოლოგიები და კომპიუტერული გრაფიკა:**
ასისტენტ პროფესორი (Iთ ტექნოლოგიები) - 2 აკადემიური თანამდებობა
ასისტენტ პროფესორი (კომპ. გრაფიკა) - 1 აკადემიური თანამდებობა
გეომეტრიული მოდელირება
ასისტენტ პროფესორი - 1 აკადემიური თანამდებობა
**მედიახელოვნება:**
ასისტენტ პროფესორი (ანიმაცია) - 1აკადემიური თანამდებობა
**გრაფიკული დიზაინი:**
ასისტენტ პროფესორი (კომპ.გრაფ. კომპოზიცია) - 1 აკადემიური თანამდებობა
**დაპროექტება და დიზაინი:**
ასისტენტ პროფესორი (კომპოზიცია, Archi CAD) - 1 აკადემიური თანამდებობა
ასისტენტ პროფესორი (AutoCAD) - 1 აკადემიური თანამდებობა

**მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია)**
ასისტენტ პროფესორი (ვებ დიზაინი) - 1 აკადემიური თანამდებობა
ასისტენტ პროფესორი (ფოტოგრაფია)- 1 აკადემიური თანამდებობა
ასისტენტ პროფესორი (რეჟისურა და დრამატურგია)- 1 აკადემიური თანამდებობა

**ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:**

• საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
• გამოფენები, გამოქვეყნებული შრომები
• კინოფესტივალებში მონაწილეობა
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

**ასისტენტ-პროფესორი უზრუნველყოფს:**

• ასისტენტ-პროფესორი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას.
• მუშაობს სრული და ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობის ქვეშ.
• ასრულებს სამუშაოს მათ მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით. ატარებს ლექციებს, ლექცია-პრაქტიკუმის კურსს.
• ასრულებს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამუშაოს (მონაწილეობას ილებს გამოფენების, სემინარების, ვორკშოპების, პროფესორთა მასტერკლასების ჩატარებისას) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

**ასისტენტი**

**მედიახელოვნება:**
ასისტენტი - 2 აკადემიური თანამდებობა

**მულტიმედია დიზაინი (შრიფტი, ორნამენტი, ფოტოგრაფია)**
ასისტენტი - 1 აკადემიური თანამდებობა

***ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:***

ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი, დოქტორანტი ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელცას აქვს მედიახელოვნების ფაკულტეტის პრიორიტეტების შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება.
• CV
• პორტფოლიო
• სამოტივაციო წერილი,
• საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
• გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილეობა
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.
• სასურველია დარგის პროფესორის სარეკომენდაციო წერილი და შუამდგომლობა.

***თსს აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსში მონაწილეთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (თსს აკადემიაში მუშაობის შემთხვევაში) და გასაუბრება საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში***

***აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთა განაცხადები მიიღება ა.წ. 8 აგვისტოდან 15 აგვისტომდე.***

***საკონკურსოდ შემოსული საბუთები ბარდება დალუქული კონვერტით. კონვერ-ტზე დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის სახელი, გვარი და ვაკანტური აკადემიური თანამდებობა ფაკულტეტის და მიმართულების მითითებით.***

*მისამართი:* გრიბოედოვის ქ. №22, თსსა კანცელარია.
*საკონტაქტო პირი:* ლანა მანაგაძე.
*საბუთების მიღება:* ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 11:00–16:00 სთ-მდე.

# ნიკა მჟავანაძე: „უნდათ მოამწიფონ აზრი, რომ პატრიარქი რეალურად ვერ მართავს სიტუაციას“

## ვის ამზადებენ მის შემცვლელად?



სანამ სამოქალაქო საზოგადოება გიგი უგულავას ციხეში მოხვედრას ზეიმობს, ეკლესიაში ამბები ხდება: საკვირაო ქადაგებისას მეუფე იაკობმა მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა: „დღეს რომ ხელისუფლებაში მობრუნება უნდათ, რას გვპირდებიან, რომ მობრუნდებიან? პლაკატებზე ისევ იქნება „ავამუშაოთ“, მაგრამ ისევ იქნება ქუჩებში დახვრეტები? ისევ ციხეებში გაუპატიურებები? ვიღაც ხომ შეიძლება, მხილებული ყოფილიყო? ეს ხომ სისტემა იყო? ამას ვერ იზამდა ვერავინ, გარდა ერთი კაცისა, რომელიც გაქცეულია ქვეყნიდან და, რომ ჩამოვიდეს, არ ვიცი, რისი შიში აქვს. ან იქ ჩავიდეთ და დაველაპარაკოთ, 26 კომისარივით მობრუნებას ხომ არ აპირებენ? ამიტომ, რომ მოდიხართ და თავს გვთავაზობთ, სხვა ბრენდით მაინც მოდით, შეიცვალეთ, რაღაცა ჩამოაყალიბეთ, თუ დაგაკლდათ და ვერ მოასწარით ყველას გაუპატიურება, ყველას მოკვლა? შეიძლება მძიმე სიტყვები იყოს, მაგრამ სათავეში ყოფნის ღირსები არ ხართ“.

მეუფის ამ სიტყვებს გამოეხმაურა ბერ-მონაზონი ილია ვაშაკიძე: „სასწრაფო რეჟიმში მოვითხოვთ პატრიარქის ჩამობრძანებას საქართველოში, რათა მიხედოს საქმეს, რომელიც ქორეპისკოპოსმა იაკობმა გააფუჭა და ეკლესია პოლიტიკური ნიშნით შუაზე გაყო. ამიტომ საერთო ძალებით აღვკვეთოთ მეუფე იაკობის პოლიტიკური თარეში ამბიონზე, ენატრება რა საბჭოთა რეჟიმი და ძველბიჭური გარჩევები და მოგიწოდებთ, გამოაშკარავდეს მისი ბიოგრაფიის ათი წელი. ეს კაცი, უფრო სწორად, არაკაცი, ამბიონიდან მოუწოდებს ერს „ფეესბესგან“ მიწოდებულ ინსტრუქციებს“.

**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– მეუფე იაკობი სხვა მეუფეების, იგივე რუისურბნისის მიტროპოლიტი მეუფე იობის, ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტი მეუფე სერაფიმეს, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი მეუფე ისაიას მსგავსად ყოველთვის გამოდიოდა „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგოდ მსგავსი განცხადებებით და გმობდა იმ საშინელებებს, რაც ქვეყანაში ხდებოდა. რომ ამბობენ, მეუფე იაკობი ადრე „მხედრიონელი“ იყოო, მათ მინდა მივმართო: არც ერთი სამღვდელო პირი მღვდლად არ იბადება, ის ერისკაცობას გადის და მასე რომ მივყვეთ, ვის ბიოგრაფიაში რა აღმოჩნდება, კაცმა არ იცის. მღვდლები კი არა, წმინდანები ცხოვრობდნენ სხვა ცხოვრებით. აშკარაა, ასეთი განცხადებები მოდის „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მათი გავლენის ქვეშ მყოფი სატელიტი ორგანიზაციებიდან; ესაა არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის საშუალებები, „ტაბულა“, რომელმაც არ გააცია და ხელად აიტაცა იაკობის საწინააღმდეგო გამოსვლები, ასევე, ფართოდ გააშუქა უკრაინაში ქართული სამღვდელოების განცხადება. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, კიევში არის გარკვეული ნაწილი სამღვდელოებისა, რომლებიც პატრიარქს არ ემორჩილება და სწორედ მათ განაცხადეს, რომ ლოცვებში არ მოვიხსენიებთ საქართველოს მთავრობასა და მხედრობასო. დაწყებულია ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა გარედან და ეს მხოლოდ გარე ბრძოლა არ არის, რადგანაც შიგნიდანაც მიდის დაპირისპირება. კარგად მოგეხსენებათ, სააკაშვილის დროს იყვნენ მეუფეები, რომლებიც დაუფარავად უცხადებდნენ მხარდაჭერას ნაცისტურ რეჟიმს.

**— მარტო მეუფე კალისტრატე რად ღირს...**

– მეუფე კალისტრატე განცხადებებით გამოდიოდა, სხვები პირდაპირ ძალადობდნენ მრევლზე და აცხადებდნენ, ეკლესიაში არ შემოგიშვებთ, თუკი ხმას არ მისცემთ სააკაშვილსო. ასევე, იყვნენ მეუფეები, რომლებიც ღიად და დაუფარავად ევროპაში ქადაგებდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერის იდეას. დღესაც ისმის საუბრები, რომ პატრიარქი მოხუცდა და ეკლესიას ველარ მართავს. თუ დააკვირდებით, ამ ბოლო დროს საკმაოდ დიდი შეტევა მიდის სამღვდელოების დისკრედიტაციაზე: გავრცელდა ვიდეო, სადაც მღვდელი მეუფე იობის შეგინების გამო ქუჩაში მანქანიდან გადმოდის და ჩხუბობს. ეს იყო დადგმული სპექტაკლი და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მეუფე ყოფილა იმავე მანქანაში, სადაც მის საწინააღმდეგოდ გამოითქვა ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები და იქვე იქნა ეს ყველაფერი გადაღებული და გავრცელდა კიდეც.

**— გასაგებია, მაგრამ სასულიერო პირი მსგავს პროვოკაციაზე არ უნდა წამოეგოს.**

– გეთანხმებით, მაგრამ მოთმინებიდან განზრახ გამოიყვანეს მამაო და კამერა საიდან გაჩნდა უცებ? საერთოდ, თუ ცალკეულ სასულიერო პირს ეშლება, ეს ყველაზე არ უნდა გავრცელდეს. არადა, მთელი სოციალური ქსელი და ყველა საინფორმაციო საშუალება მომართულია იქითკენ, რომ მოხდეს საპატრიარქოს დისკრედიტაცია, რათა შემდგომ მოამწიფონ აზრი, რომ პატრიარქი რეალურად ვერ მართავს სიტუაციას და სხვა ძალა მოვიდეს საპატრიარქოს სათავეში. ამ ამბავს საკმაოდ სერიოზული ხალხი უდგას სათავეში და ძალიან დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ ზოგადად. ამ ძალას დიდძალი ფული აქვს, მას ჰყავს თავისი ხალხი პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და მიდის სისტემატური მუშაობა იმ ღირებულებების წინააღმდეგ, რომელსაც ქართული ჰქვია. პატრიარქმა განაცხადა 2011 წელს ქადაგებისას, რომ ვინც ეკლესიას შეებრძოლება, ის დაისჯება და კარგად მოგეხსენებათ, როგორც დაისაჯნენ კონკრეტული პირები, რადგანაც პატრიარქის მიმართ ყვირილი და საპატრიარქოში მივარდნები არავის შერჩენია და არც შერჩება. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობასა“ და მის გარშემო არსებულ სატელიტებს საპატრიარქოს წინააღმდეგ გალაშქრება არ შერჩებათ და ისინიც აუცილებლად დაისჯებიან. თავად ამ ტირანიამ რომ დაასრულა ბოგინი, საპატრიარქოს დამსახურებაცაა, რადგანაც ილია მეორემ დაიჭირა ღირსეული პოზიცია და ამას ვერ პატიობენ. ის სახელგატეხილი ორგანიზაციები, რომლებიც კვლევებს აწარმოებენ, გვერდს ვერ უვლიან იმას, რომ საპატრიარქოს დაუწერონ რეიტინგი 95%, სხვას ვერაფერს აკეთებენ, გარდა იმისა, რომ მოხდეს ეკლესიის დისკრედიტაცია და ამის მოთავეები საპატრიარქოშიც მრავლად არიან, რომლებიც დღესაც სააკაშვილს უჭერენ მხარს. სირცხვილია, რომ ეს ის კატეგორიაა სასულიერო პირებისა, ვინც თავის დროზე ხმას ვერ იღებდა და ვისაც ახლა ვაი-ვიში აქვს ატეხილი, რომ თურმე უგულავა დააკავეს და თურმე „ნაციონალების“ შევიწროება მიდის.

ეპარქიები იზრდება ამასობაში და არსებობს ვარაუდი, ეს იმის მანიშნებელი იყოს, რომ ეკლესია კი არ ძლიერდებოდეს ამით, არამედ შემდგომში, როცა დადგება საკითხი ახალი პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებით, ეპისკოპოსებმა გარე ძალის კარნახით მათთვის სასურველ კანდიდატურას იოლად დაუჭირონ მხარი და, ხმების უმრავლესობა იოლად მოგროვდეს, როცა დაიწყება კენჭისყრა.

**— კი, მაგრამ ეს ეპარქიები კათალიკოსის ნებით არ მსხვილდება?**

– კი, ეს მისი ხელდასმით იზრდება, ფაქტია, ეპარქიების ეპისკოპოსის საკითხს სინოდი წყვეტს, თუ ვინ უნდა აირჩეს და ყველას სურს, მისთვის სასურველი კანდიდატურა გავიდეს, მაგრამ, მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო ეპისკოპოსი დასავლეთ ევროპის ქვეყანაში იყო წარდგენილი, თუ არ ვცდები, ჰოლანდიაში და მისი დამტკიცება სინოდმა გადადო, არ მიიღო ეს კანდიდატურა. ეს ქმნის ეჭვს, რომ დასავლეთ ევროპის ეპარქიის ეპისკოპოსს მეუფე აბრაამს სურს დასავლეთ ევროპაში ისეთი კადრების გაყვანა, რომლებიც შემდგომში მის კანდიდატურას დაუჭერენ მხარს, თუკი პატრიარქის ადგილას წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას. ბევრი სასულიერო პირი გამოდის და ღიად უპირისპირდება ეკლესიას. ისმის კითხვა, რატომ არ ხდება რეაგირება? თუ ბასილი მკალავიშვილი განკვეთეს იმის გამო, რომ საპატრიარქოს ეურჩებოდა, ჩემი აზრით, გარკვეული ზომები იმ მღვდლების წინააღმდეგაც არის მისაღები, რომლებიც საპატრიარქოს პოზიციას ეწინააღმდეგებიან.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი გიორგი იმერლიშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილის, გიორგი იმერლიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

როგორც პრემიერის სამძიმრის წერილშია აღნიშნული, ის ყოველთვის იქნება მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის იმის მაგალითი, როგორ უნდა საქმის კეთება დიდი პროფესიონალიზმით და დიდი სიყვარულით.

„უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი იმერლიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი ადამიანი, მოქალაქე, მაღალი რანგის პროფესიონალი, გამორჩეული და ერთგული მეგობარი, კარგი ქართველი კაცი, საკუთარ სამშობლოზე შეყვარებული და მისი უანგარო მსახური. ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ გია ჩვენ გვერდით აღარ არის. ის ყოველთვის იქნება მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის მაგალითი იმისა, როგორ უნდა საქმის კეთება დიდი პროფესიონალიზმითა და ამავე დროს დიდი სიყვარულით.

თანაგრძნობას ვუცხადებ და ვუსამძიმრებ გიორგი იმერლიშვილის ოჯახს, მის ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს, ვიზიარებ მათ დიდ მწუხარებასა და ტკივილს“, – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის მიერ გავრცელებულ სამძიმრის წერილში.

გიორგი იმერლიშვილი მცხეთასთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

(ნიუპოსტი)

## შსს ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გასულ თვეში გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს:

2014 წლის ივნისი 452 588 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2013 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია. იანვარ-ივნისის ინტერვალში ქვეყანაში უკვე 2 243 362 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს.

ამასთანავე, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი – 864 193 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 38,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,7%);

ბ) ტრანზიტი – 406 915 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 18,1%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან – 3%);

გ) სხვა – 972 254 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 43,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან – 0,2%).

2014 წლის ივნისში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-9%), აზერბაიჯანიდან (+15,3%), სომხეთიდან (-19,3%), რუსეთიდან (-20%) და უკრაინიდან (+10%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ივნისშიც კვლავ ტრადიციულად გამოირჩნენ: ლიტვა, პოლონეთი, ავსტრია, იტალია და ლატვია (შესაბამისად, 89%, 54%, 20%, 16%, და 14%), შუა აზიის ქვეყნებიდან კი – ყაზახეთი (29%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსის მოქალაქეები, 45% მატებით. (ნიუპოსტი)


თედო კობახიძე

# მანანა კობახიძის ძმას „ნაციონალებთან“ ფარულ გარიგებაში ადანაშაულებენ

**ვინ არის პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის ძმა და ვისი რეკომენდაციით მოხვდა ის თბილისის საკრებულოში? რა საერთო აქვს მას „ნაციონალებთან“ და დაუშვა თუ არა შეცდომა, რის გამოც ლენტეხში „ოცნებამ“ არჩევნები წააგო? რა ფარულ საბოტაჟს ეწეოდა „ქართული ოცნებას“ წინააღმდეგ ახლა „ქართული ოცნების“ სიით საკრებულოში შესული დეპუტატი?**

**„ალიას“ ლენტეხის პოლიციის ყოფილი უფროსი, მაიზერ ბაბლუანი ესაუბრა:**

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლენტეხის რაიონში გაიმარჯვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა გოგი ლიპარტელიანმა, ასევე „ნაციონალურმა მოძრაობამ“. საუბნო ოქმების გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ლენტეხის №46-ე საარჩევნო ოლქის 14 უბნის შედეგები ბათილი იყო, რადგან შემაჯამებელი ოქმები საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით იყო შედგენილი, რაც მათ ბათილობას იწვევდა. აღნიშნული გასაჩივრდა საოლქო კომისიაში, სადაც მიიღეს დადგენილება, არ გაბათილებულიყო შედეგები. იმჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დადგენილების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში უნდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში. საჩივრის შესატანად დარჩენილი იყო 1 დღე. საჩივარი პირადად შევადგინე და დავუკავშირდი „ქართული ოცნების“ სათავო ოფისს, საიდანაც მესაუბრა იურისტი, როგორც მან წარმომიდგინა თავი, თედო კობახიძე. როდესაც ვითარება ავუხსენი, მან მითხრა, რომ არ შემეტანა საჩივარი მესამე დღეს, რადგან ვადა კიდევ იყო დარჩენილი, იმის გამო, რომ საჩივარი უნდა შეტანილიყო დადგენილების მხარისთვის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში და შემეტანა საჩივარი მომდევნო დღეს. როდესაც გავუმეორე, რომ ერთი დღის დაგვიანებით შეტანა უკვე გარდაუვალი უარი იყო, მან კატეგორიული ტონით მითხრა, რომ მელაპარაკებოდა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელების სახელით და არ შემეტანა საჩივარი იმ ვადაში, რომელსაც მე ვეუბნებოდი. საჩივარი შევიტანე ჩაბარებიდან მესამე დღეს, რის გამოც ლენტეხის რაიონულმა სასამართლომ სრულიად კანონიერი საფუძვლით, ვადის გაშვების გამო, უარი გვითხრა სარჩელის განხილვაზე. თედო კობახიძე, როგორც ახლა გაირკვა, თბილისის საკრებულოს დეპუტატი გახდა. საინტერესოა, კაცი, რომელიც ფარულ საბოტაჟს ეწეოდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და სამართლებრივად მოგებული პროცესი წააგებინა პარტიას, დეპუტატად არის წარდგენილი. თუ საჩივარი განიხილებოდა, მასში იმდენად აშკარა იყო დარღვევები, რომ ლენტეხში გარდაუვალი იყო მეორე ტური, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ გამანადგურებელ მარცხს მოუტანდა. სწორედ ეს იყო გათვლილი, რომ წაგება გარდაუვალი იყო და „ნაცმოძრაობის“ მაჟორიტარს, გოგი ლიპარტელიანს მოსყიდვაში გადახდილი ფული წყალში ეყრებოდა. თედო კობახიძეს მივმართავ, გაიხსენოს ეს ყველაფერი და განმარტოს, საარჩევნო კოდექსის უცოდინრობით დაასამარა „ქართული ოცნების“ გამარჯვება ლენტეხში, თუ სხვა რამემ უბიძგა მას ამ სიგლახის ჩასადენად. ველოდები მის პასუხს.

**— ეს სერიოზული ბრალდებაა...**

– დიახ, ეს გარიგებაა, „ოცნება“ რომ „ნაცების“ მძევალი იყოს, არაა გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ იმ კომპრომატებს, რომლებიც გაჟღერდა და „ოცნების“ წევრები ხმას არ იღებენ, ანუ ჩემი აზრით, ხდება ასეთი რამ, „ნაცები“ კომპრომატებს აქვეყნებენ ვიღაცის ხელით, რაღაც თემის მიჩუმათების მიზნით, ესენიც, როგორც პოლიტიკური კურდღლები, ჩუმდებიან, მაგრამ გარკვეულ დრომდე, რადგან ესენი ელოდებიან, რომ ვიღაც კომპრომატს მოუტანს. „ნაცებს“ არა აქვთ საძებარი, ტონობით აქვთ ეს კომპრომატები. საგანელიძე, ჩაფიძე, ახვლედიანი, ქუცნაშვილი, ვინ იჩივლა, უშიშროების ხელწერილები რომ გამოუქვეყნეს?

**— რისი თქმა გინდათ, თედო კობახიძე, რომელიც ვიცე-სპიკერის ძმაა, „ნაციონალებზე“ მუშაობდა?**

– სამართლებრივად ასამარებდა „ოცნების“ კანდიდატებს. აბა, სხვა რა დავარქვათ, რაც გააკეთა? ერთმა დღემ გადაწყვიტა რაიონის ბედი. ეს გამიზნული იყო, მე დარწმუნებული ვარ უკვე. ისე, სჯობს, თვითონ გასცეს პასუხი, თუ, რა თქმა უნდა არ იტყვის, რომ არ ახსოვს, მე შევახსენებ, არაა პრობლემა. მაშინ დამიმტკიცოს, რომ საარჩევნო კოდექსში ისე წერია, როგორც თვითონ მითხრა. ეს ხდება გარიგების საფუძველზე, გარიგება კი ამერიკელების ხუშტურებს ემსახურება. დამნაშავე რეჟიმი რომ გასამართლდეს, ეს მათ იმიჯზე მოქმედებს, რომ კრიმინალებს აფინანსებდნენ და მხარს უჭერდნენ. ამიტომ ერთეულების გასამართლება მცირე გასართობია, რომ ხელისუფლების იმიჯი იმაზე ადრე არ დავარდეს ნულს ქვემოთ, ვიდრე დაგეგმილია. „ნაცები“ ამ არჩევნებით უბრალოდ მოაფარეს პოლიტიკურ სივრცეს, მაგრამ როგორც კი დასავლეთს „ოცნება“ არ მოეწონება, დაიწყება „კომპრების“ კასკადი და ისედაც მოფამფალებული რეიტინგი აღარ ექნება. კონკრეტული ფაქტები არ მაქვს, მაგრამ მცირე ექსკურსი გავაკეთოთ: პირველი დაპირება – სამართლიანობის აღდგენის კომისიის შექმნა, გაქრა. რატომ? იმიტომ რომ მაშინ იგივე სისტემურ დანაშაულს ვიღებთ, რეკეტი სახელმწიფოს სახელით, უკანონო განაჩენები... აქ უშუალოდ ამერიკელ-ევროპელი სააკაშვილის მოქრთამული ჩინოვნიკების მოთხოვნებია, რომ არ შესრულდეს. მეორე – ბიზნესკრედიტები, ბანკები, ხელშეუხებელი თემა, რატომ? იმიტომ რომ საბანკო სექტორი უკვე მორგებულია სააკაშვილის ხელისუფლების ბანკირებზე, კრედიტი, თანაც აგრო, ბანკისთვის რისკ-ფაქტორია, ამიტომ არ გაიცემა. ამ ცვედანებმა რა ქნეს? 14-პროცენტიანი კრედიტი ბანკის თანადაფინანსებაში დააბალანსეს და სახელმწიფო უხდის ბანკებს პროცენტს, 10 პროცენტს 14-დან, ანუ ისევ სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გააძლოს ბანკები, ხომ მაგარია? „ოცნება“ ახლა აუხდათ ბანკებს. სასამართლო? კუბლაშვილი ხელშეუხებელია, ვინ უჭერს მხარს? ისევ ევროპულ-ამერიკული ინსტიტუტები, 2015 წლამდე ხელშეუხებელია. აი, სადაა ყველაზე დიდი პრობლემა.

**„ალია“ კომენტარისთვის თედო კობახიძეს დაუკავშირდა:**

– 2012 წელს რა ხდებოდა და ვინაა ეს მაიზერი, საერთოდ არ მახსოვს. ამაზე რა განცხადება უნდა გავაკეთო, არც ვიცი. მსგავს ფაქტს ადგილი, ალბათ, არც ჰქონია და არც მახსოვს. იმ არჩევნების თემა ახლა რატომ გაახსენდა, ეგეც არ ვიცი. ერთი რამ არის რეალურად, რაც გაიგეს, რომ თედო კობახიძე შედის თბილისის საკრებულოში, ფაქტია, რომ ეს ბევრს არ მოსწონს.

**— საკრებულოში დამ გაუწია რეკომენდაციაო. ასეა?**

– საერთოდ ვაპირებ, რომ მალე ჟურნალისტებს შევხვდე და ყველა კითხვაზე ვუპასუხო. მანანა კობახიძე ჩემი დაა უკვე 35 წელია, დაძმობა რა შუაშია, როცა 2012 წლის ნოემბრიდან ჯერ კიდევ პარტია რომ არ იყო „ქართული ოცნება“ და იყო საზოგადოებრივი გაერთიანება, იმ დროიდან იქ ვარ. ვარ პარტიის დამფუძნებელი და იმ დღიდან ჩემი საქმიანობა დაუკავშირდა სწორედ ამ პარტიას. ჩემი სიაში ჩასმის გადაწყვეტილება მიიღო პარტიის თავმჯდომარემ, კოალიციის ლიდერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და ვიცე-პრემიერმა კახი კალაძე. ვფიქრობ, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ყველანაირად შევეცდები, რომ იმედები არ გავუცრუო არც მათ და არც ჩემს დას.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დარახველიძე სტამბულში გაემგზავრა



დევნილთა მინისტრი დავით დარახველიძე და მინისტრის მოადგილე ნინო ჭავჭავაძე სტამბულში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდებიან. ვიზიტის მიზანი აფხაზეთის კონფლიქტის დროს, უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი გმირების გადმოსვენების პროცესის დაჩქარებაა.

მინისტრის განცხადებით, „გრძელდება ქართულ-აფხაზური დიალოგი და თანამშრომლობა კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებზე. ეს პროცესი მიმდინარეობს წითელი ჯვრის ეგიდით. შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა ბაბუშერას ძმათა სასაფლაოდან ჩვენი თანამემამულე გმირების გადმოსვენების პროცესი. ასევე დასრულდა დიღმის სასაფლაოზე სამარხების გახსნა. მიმდინარეობს საექსპერტო სამუშაოები, რის შემდეგაც ცხედრები ოჯახებს გადაეცემათ. ქართული მხარის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ დავაჩქაროთ პროცესი. პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დამოკიდებულებაა, რომ ჩვენ ფინანსურად გავიღოთ სახსრები მოვლენების დაჩქარებისთვის, რადგან ეს პრობლემა ისედაც დიდი ხანია გრძელდება“, – აღნიშნა დარახველიძემ. (ნიუპოსტი)

## „ასოცირებაზე ხელმოწერა აზერბაიჯანთან ურთიერთობაზე არ აისახება“



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აზერბაიჯანში ვიზიტისას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება. „საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამან შეიძლება, შეცვალოს სამართლებრივი ველი, თუმცა ეს არანაირად არ აისახება ჩვენს ურთიერთობებზე მეზობელ აზერბაიჯანთან“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

აზერბაიჯანის დედაქალაქს ოფიციალური ვიზიტით, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, პარლამენტის წევრები: ზვიად ძიძიგური, თედო ჯაფარიძე, ზურაბ ტყემალაძე, გუბაზ სანიკიძე, მახირ დარზიევი, ალი მამედოვი და კახაბერ ოქრიაშვილი ესტუმრნენ. (ნიუპოსტი)

## გრიშა ონიანი აქციის მონაწილეებს სვანური ანგარიშსწორებით დაემუქრა



შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილმა მაღალჩინოსანმა, გრიშა ონიანმა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერების აქციის გამო პროტესტი გამოთქვა და აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, თუ რეზიდენციასთან კიდევ გამოჩნდებიან, სამართალდამცავებს არ დაელოდება და სვანების მეშვეობით გაუსწორდება მათ.

„აღშფოთებული და გამწარებული მოვედი აქ, რომ მენახა ქალების ის ჯგუფი, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოს. მინდა გითხრათ, ქალბატონებო, სვანეთში ჩემმა მეზობელმა მეზობელი შურისძიების გამო მოკლა, მკვდრის გასაპატიოსნებლად მკვლელის ოჯახი სოფელს გაერიდა, რათა მიცვალებული მიწისთვის წესიერად მიებარებინათ. არ გეკადრებათ, რომ საქართველოსთვის და მსოფლიოსთვის სახელგანთქმული კაცი ასე შეურაცხყოფილი გავუშვათ ამ ქვეყნიდან. ამიტომ თუ თქვენ კიდევ მობრძანდებით აქ, არ დაველოდები სამართალდამცველებს, მოვიყვან სვანებს და ჩვენ გაგისწორდებით ისე, როგორც საჭიროა. ედუარდ შევარდნაძე იმდენად დიდი პიროვნება იყო, რომ მასთან მიახლოება მზესთან მიახლოებას ჰგავდა. ის ძალიან დიდი და აღმატებული ადამიანი იყო“, – განაცხადა ონიანმა. (რეპორტიორი)

## ვარძიის კონსერვაციის გეგმაზე მუშაობა იწყება

ვარძიის კონსერვაციის გეგმაზე მუშაობა იწყება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ცნობით, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მთავარი მიზანია, კლდეში ნაკვეთ უნიკალურ კომპლექსში ქვათა ცვენის შეჩერება და ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივება. ვარძიის გადარჩენისთვის მნიშვნელოვანია ქართველ დარგობრივ სპეციალისტთა გაერთიანება და დღემდე არარსებული ვარძიის საკონსერვაციო დოკუმენტის შექმნა. ეს დოკუმენტი ვარძიის მართვის გეგმის მომზადების საწინდარი გახდება“, – აცხადებენ სამინისტროში. (ინტერპრესნიუსი)



მებენ ყველა დოკუმენტს. ასე ზერელედ არ ხდება ჩვენთან, ხელნაწერები კი არ გვაქვს, ამას ბეჭდავს აპარატი, რომელზეც კეთდება ანალიზი და ეს ყველაფერი შენახულია არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, იქ სისტემატურად მიდის ინფორმაცია. ნებისმიერ პირს, რომელიც ამ თემით დაინტერესდება, შეუძლია, ნახოს. გარდა ამისა, ჩვენ შენახული გვაქვს ყველა გადასხმული სისხლის კომპონენტის ნიმუშები, საქართველოში კი არა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ლაბორატორიაში წაიღონ და ნახავენ, რომ ყველა ეს ნიმუში იქნება სუფთა. მე მესმის ბავშვის მშობლის პოზიცია, მაგრამ როცა შედეგები დაიდება კომისიის მიერ 2 კვირაში, გაჩვენებთ და დარწმუნდებით, რომ არაფერ შუაშია სისხლი.

**— აბა, ჰეპატიტი როგორ „აიკიდა“** დასკვნა.

**— ბატონო დავით, მე მახსოვს რამდენიმე წლის წინათ ქუთაისელ ფეხმძიმე ქალს გადაუსხეს სისხლი და შვილი რომ გააჩინა, აღმოჩნდა, რომ შიდსი ჰქონდა ორივეს. დადასტურებულია, რომ სისხლის გადასხმით დაავადდა.**

– გასაგებია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რომ ოდესღაც რაღაც იყო. ახლა დაიდება შესაბამისი დასკვნა და ყველა ნახავს, ვისაც ეჭვი გაუჩნდება. ამისთვის არსებობს კომპეტენტური ორგანო, წერტილ-მძიმის შეშლას არ პატიობენ არავის, ვინ რას გაპატიებს? ვინ დაგინდობს? თავს დავდებ, ყველა გამოკვლევა დაადასტურებს, რომ ბავშვს ჩვენთან ჰეპატიტი არ დამართნია.

**— ერთ ცენტრს აქვს სისხლის განაწილებაზე ექსკლუზივი თუ რამდენიმე სისხლის ბანკი გვაქვს ქვეყანაში?**

– საქართველოში 6-7 სისხლის ბანკია, ეს დაავადებათა კონტროლის სამსახურში არის აღრიცხული. იცით, რასთანაც არის დაკავშირებული. ბავშვი სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს, ამიტომ ეს ბავშვი გადარჩენილია. აქვს თუ არა ჰეპატიტი, ეს ჯერ არავინ იცის, მაგრამ გადარჩენილია, ცოცხალია და ღმერთის წყალობით, კარგადაც იქნება. მესმის მშობლის პოზიცია, მაგრამ რეალობა სხვაა. მშობელი, რა თქმა უნდა იბრძვის, მაგრამ შეისწავლონ, ამ თვეების მანძილზე ბავშვი სად იყო, ვისთან ჰქონდა კონტაქტი. ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევი სისხლის სანდოობაზე, რადგან მას უმაღლეს დონეზე აკონტროლებენ კომპიუტერული სისტემით. მის არასანდოობას არავინ დაუშვებს, მხოლოდ პლუსს და მინუსს კი არ ბეჭდავს აპარატურა, მის რაოდენობას, შემადგენლობას და ყველაფერს დოკუმენტალურად აკეთებს.

**— ყველაზე ცუდ შემთხვევაში, თუ**

# „სისხლის ბანკს“ ბავშვის „ცე“ ჰეპატიტით დაავადებაში სდებენ ბრალს

**როგორც „ალიას“ აცნობეს, იაშვილის სახელობის კლინიკაში 4 წლის ბავშვი „ცე“ ჰეპატიტით დაინფიცირდა. ბავშვის დედის თქმით, მისი შვილი კლინიკაში ლეიკემიის დიაგნოზით იყო მოთავსებული და ბოლო გადასხმიდან რამდენიმე თვეში, ბავშვი შეუძლოდ გახდა. ექიმებს უთქვამთ, ეს პრეპარატის ინტოქსიკაციით იყო გამოწვეულიო, თუმცა მშობლების დაჟინებული მოთხოვნით ბავშვი გადამოწმდა „ცე“ ჰეპატიტზე და სამწუხაროდ, დადასტურდაო. ბავშვის დედის თქმით, სისხლი, რომელიც ბავშვს გადაუსხეს, „სისხლის ბანკიდან“ იყო მიტანილი.**

**„ალიამ“ ინფორმაცია გადაამოწმა და როგორც დავადგინეთ, ბავშვი იაშვილის კლინიკაში მართლაც მკურნალობდა.**

**„ალია“ „სისხლის ბანკის“ დირექტორს, დავით ლოლიშვილს ესაუბრა:**

**— იცით, ალბათ, ბავშვის „ცე“ ჰეპატიტით დაავადებაში „სისხლის ბანკს“ რომ ადანაშაულებენ...**

– ვიცი. ყოველ თვე ამოწმებენ აღებულ სისხლს, ხდება გარეკონტროლი იმის გარდა, რომ ჩვენთანაც ვაკონტროლებთ. ამიტომ იმის თქმა, რომ სისხლის გადასხმა საფრთხეს შეიცავს, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია. ჩვენ დაახლოებით 500-600 გადასხმას ვაკეთებთ თვეში მხოლოდ ბავშვებში. წელიწადში გამოდის 6000-ზე მეტი გადასხმა. არც ერთი შემთხვევა არასდროს, არც ჰეპატიტების, ან სხვა რამე ინფექციის დარეგისტრირებული არ არის და არც ყოფილა. თუ დონორმა სისხლი გაილო და ჰეპატიტი ჰქონდა, ამას ჩვენ ვამოწმებთ, ასეთი სისხლი ჩამოიწერება და ნადგურდება წესების შესაბამისად. მე ამ შემთხვევაზე მომივიდა ბრძანება, ახლა შემოვა კომისია, ნახავენ ყველაფერს, შეამოწ-

**ბავშვმა?**

– ჰეპატიტით მოსახლეობის 6-7% არის დაავადებული, ამიტომ უამრავი გზა არსებობს ამის გადადების. ეს ბავშვი კლინიკაში იწვა და გაეწერა დეკემბერში, კლინიცისტები ამას დაადასტურებენ. დეკემბერში გაწერილი ბავშვი იყო სუფთა, გამოკვლეული იყო ჰეპატიტებზე. მკურნალობა შეუწყდა ნოემბერში, როცა გაიკეთა ბოლო გადასხმა. იმის შემდეგ წავიდა, 7 თვე გავიდა და დაუფიქსირდა ჰეპატიტი. ამ თვეების განმავლობაში მას ეს ჰეპატიტი ჰქონდა თუ არ ჰქონდა, არ ვიცი, დიდი ვარაუდია, რომ ამ პერიოდში დაემართა და საიდან დაემართა, ეს უკვე სხვა თემაა, მაგრამ ძალიან მომგებიანია ყველასთვის, ამტკიცოს, რომ სისხლი გადაესხა და დაემართა ჰეპატიტი. გამოიკვლიოს ნებისმიერმა კომპეტენტურმა ორგანომ და დადოს

**— რამდენად მალე ვლინდება პათოლოგია სისხლის გადასხმის შემდეგ?**

– საშუალოდ, ინკუბაციის პერიოდი არის 2 თვე. მაგრამ შეიძლება, 6 თვის მერე გამოვლინდეს, შეიძლება საერთოდ არ გამოვლინდეს, მაგრამ რა ინფორმაციაც მაქვს სტატისტიკურად, ბოლო პერიოდში ბავშვებში არის პათოლოგია, როცა ვლინდება ჰეპატიტის შემთხვევა, მაგრამ ეს არ ითვლება, რომ მას აქვს ჰეპატიტი. შეიძლება, ის იყოს ვირუსის მატარებელი. ბავშვს, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, თუ გაუკეთებენ გამოკვლევას 6 თვის, 1 წლის მერე, დარწმუნებული ვარ, არ აღმოაჩნდება ჰეპატიტი. ამას დრო უნდა. ბავშვებში ამას არც ერთ ქვეყანაში არ მკურნალობენ, იმუნოდეპრესიის ფონზე ვითარდება, ქიმიოთერაპია აქვს ჩატარებული. ამ ბავშვს ჰქონდა ლეიკემია, რომლის განკურნება, ეს დადასტურდა, ვინ აგებს პასუხს და რა სასჯელია?

– ვერაფერს გეტყვით, გამორიცხულია ცუდი შემთხვევა. უნდა შეისწავლოს ეპიდემიოლოგმა. არის შემთხვევები, როცა გადადის ჰეპატიტი სხვა ფაქტორებით, ბავშვებში ხშირია სისხლდენა, ნერწყვი და ა.შ. დასკვნა დაიდება მაქსიმუმ 2 კვირაში და მერე ვისაუბროთ.

**„ალია“ იაშვილის კლინიკის დირექტორს, შოთა ჯოგლიძეს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, თუკი დადასტურდა, რომ ბავშვი ჰეპატიტით სისხლის გადასხმით დაინფიცირდა, რა ზომებს მიმართავს. გვითხრა, რომ ნახევარ საათში შეძლებდა ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემას. ბუნებრივია, ჩვენ ნახევარ საათშიც დავურეკეთ და მერეც, მაგრამ აღარ გვიპასუხა.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსთავის მერობის ყოფილი კანდიდატების განცხადებებს მათივე პარტიები ემიჯნებიან



რუსთავის მერობის ყოფილი კანდიდატების ივანე შათირიშვილის, ეროსი კიწმარიშვილის, კობა ძლიერიშვილისა და ალექსანდრე ბერიძის მიერ გაკეთებულ განცხადებებს პარტია „ჩვენი საქართველოს“, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“, „არასაპარლამენტო ოპოზიციისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ რუსთავის ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

როგორც პარტიებში აცხადებენ, ისინი ემიჯნებიან მერობის ყოფილი კანდიდატების განცხადებებს, რომლებიც პარტიების ოფისებთან შეთანხმებული არ ყოფილა. „ჩვენი საქართველოს“ სიის მეორე ნომერი ამირან ბიწაძე აცხადებს, რომ, თუ არჩევანის გაკეთება ცუდ და უარეს მერობის კანდიდატს შორის მოუწევს, ის მხარს ცუდს დაუჭერს და ეს „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება და არა „ნაციონალური მოძრაობის“.

„ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ რუსთავის ორგანიზაციის წარმომადგენელი და სიის პირველი ნომერი ფიქრია ავალიანი ამბობს, რომ მათი კოალიციის მერობის კანდიდატის განცხადების შესახებ არაფერი იცოდნენ და კოალიცია ამ განცხადებას კატეგორიულად ემიჯნება.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ რუსთავის ორგანიზაციის წარმომადგენელი მამუკა მაისურაძე აცხადებს, რომ კოალიციისთვის ეს განცხადება მოულოდნელი იყო და რომ მერობის კანდიდატი ალექსანდრე ბერიძე „ნაცმოძრაობის“ სატელიტი აღმოჩნდა. ანალოგიური განცხადება გაკეთდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ რუსთავის ოფისშიც.

ოპოზიციური პარტიების რუსთავის მერობის ოთხმა კანდიდატმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატ მამუკა ჩიქოვანს ერთობლივ ბრიფინგზე მხარდაჭერა გამოუცხადა. მათი თქმით, მამუკა ჩიქოვანის გამარჯვების შემთხვევაში, მისივე წინადადებით შეიქმნება რუსთავის მერობის ყოფილ კანდიდატთა საბჭო, რომელიც მათ მიერ წინასაარჩევნო პერიოდში რუსთავის მოსახლეობისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას შეუწყობს ხელს. (ინტერპრესნიუსი)

## „პენიტენციარულ სისტემაში ვითარება უარესდება!“




არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის, ნანა კაკაბაძის განცხადებით, პენიტენციარულ სისტემაში ვითარება დღითი დღე უარესდება.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სისტემაში ბევრი რამ შეიცვალა, ის მოლოდინი, რაც საზოგადოებას ჰქონდა, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, არსებულს არ შეესაბამება.

„ხელისუფლების ცვლილების პირველ თვეებში, ვითარება პენიტენციარულ სისტემაში მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო რთულდება. ისევ ის პრობლემები ჩნდება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს იყო. პასუხისმგებელი პირების მხრიდან იგივე პასუხი ისმის – ეს მხოლოდ ჭორებია, ან მართვადი პროცესია. ხელისუფლება ვერ დებს მტკიცებულებებს, რომ ციხეებში რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა, რომ პატიმრების შიმშილობა იქნება, თვითდაზიანებები თუ თვითმკვლელობის მცდელობა, თურმე მართვადი პროცესებია. ეს არის ის პრობლემები, რაც არსებობს და ამის გასაუმჯობესებლად არაფერი კეთდება, სრული სტაგნაციაა“, – განაცხადა კაკაბაძემ. (რეპორტიორი)

## დიდ ბრიტანეთში ელჩი რევაზ გაჩეჩილაძე იქნება



საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე, ასევე, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა რევაზ გაჩეჩილაძე.

იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე; სხვადასხვა დროს იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელსა და სომხეთის რესპუბლიკაში. გაჩეჩილაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ამავე უნივერსიტეტში. იყო მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. დღემდე ის ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორია, ასევე სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელი წევრი. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## ქეთი დევდარიანი: ,,გინდა მაზოხისტურს, გინდა ყლ...ბში ქურდულს“...



„ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტი, ქეთი დევდარიანი ,,ფეისბუკურ“ გარემოსთან დაკავშირებით პოსტს აქვეყნებს.

სცენარისტი, რომელმაც იდეალური გარემო შეუქმნა მაყურებელს სერიალის სახით (რადგან სერიალშიც ის გარემო შექმნა, რაც ბევრ რამეზე მოახდენდა გავლენას), ბევრის გასაკვირად შემდეგს წერს:

„ფბ ჯერჯერობით ერთადერთი სივრცეა, სადაც გარემოს შენ ქმნი“...

ქეთი დევდარიანი:

– ადამიანის წაშლა გოიმობააო, მომწერეს და საიდან მოიტანა ამ ხალხმა, რომ წაშლა გოიმობაა. ფბ ჯერჯერობით ერთადერთი სივრცეა, სადაც გარემოს შენ ქმნი. გინდა მრავალფეროვანს, გინდა ესკაპისტურს, გინდა მაზოხისტურს, გინდა ყლ...ბში ქურდულს, გინდა ფემინისტურს და გინდა კლანურს... სამყაროს მოდელირების ამისთანა შანსი როგორ უნდა გაუშვა ხელიდან.

*newposts.ge*

## გუკა რჩეულიშვილი მასზე და ლელა კილაძეზე გავრცელებულ ხმებს ეხმაურება





როგორც რჩეულიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, ეს თემა სახუმარო არ არის.

– ძალიან არ მიყვარს ასეთი სტატუსები და საერთოდ ასეთი სიბინძურე! უბრალოდ, კიდე წამოვიდა ინტერნეტ-გაზეთებში სტატიების კასკადი ჩემზე და ლელა კილაძეზე... ის დიდი ხანია, ჩემი მეგობარია და პოლიტიკის გამო ნუ იგონებთ რაღაც სისულელეებს და საერთოდ, ასეთი ჟარგონით ლაპარაკი ამაზრზენია, არ გრცხვენიათ? ეს თემა სახუმარო არ არის, გთხოვთ მოეშვათ სპეკულირებას!! მე მყავს ცოლი, რომელიც მიყვარს.

პატივისცემის გარეშე გუკა რჩეულიშვილი, – წერს რჩეულიშვილი.

*pia.ge*

## მანანა მანჯგალაძე: ,,ასე მგონია, ბაბუაჩემი გარდაიცვალა“




ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების ფაქტს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეხმაურება.

– შევარდნაძე გარდაიცვალაო, რაც თავი მახსოვს შევარდნაძეც მახსოვს, ასე მგონია, ბაბუაჩემი გარდაიცვალა... ყველას თავისი აზრი აქვს და მეც მაქვს, ყველაფრის მიუხედავად, მე მას ვაფასებ, – წერს მანჯგალაძე.

*pia.ge*

## ქართველი მუსიკოსები გიგი უგულავას მხარდაჭერას უცხადებენ



თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას დაკავებას საზოგადოების სხვადასხვა ფენის წევრების მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა...

**გიორგი უშიკიშვილი:**

– სამართლიანობა მოითხოვს იმას, რომ ვთქვა: ეს არის კაცი, რომელმაც ძალიან ბევრი რამე გააკეთა კულტურისთვის, ზოგადად დედაქალაქში, მაგალითად მოვიყვან ფოლკლორის ცენტრს. ვიცი, რომ იქ მუზეუმებია, არტოს ბაღის მშენებლობა მოხდა, იქაც ძალიან კარგი რამეები გაკეთდა და ბევრი კიდევ სხვა რამ... ამიტომ ხალხის გამოხმაურებაც არის ლოგიკური, იმიტომ, რომ არ შეიძლება ადამიანმა დაივიწყო სიკეთე.

**სტეფანე:**

– მინდა გამოვხატო მხარდაჭერა გიგისადმი, ახლაც არ ვიცი, რის გამოა ის დაკავებული და ძალიან ვწუხვარ, იმიტომ რომ მიმაჩნია – მან თბილისისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და მინიმუმ იმის ნდობა შეიძლებოდა, რომ ის ქვეყნიდან არ გაიქცევა.

**კახა ცისკარიძე:**

– უამრავი ადამიანის სიცოცხლე აქვს გადარჩენილი. შემიძლია ვთქვა და მე პირადად ვიცი რამდენიმე ასეთი ადამიანი და კიდევ აღსანიშნავი ფაქტი ის არის, რომ ჩემი ცხოვრების პერიოდში და მე ვცხოვრობ თბილისში უკვე 15 წელია, გიგი საუკეთესო მერი იყო და უამრავი კარგი საქმე აქვს გაკეთებული.

*newposts.ge*

## ვის უხდის მადლობას ლელა კილაძე და ვინ არიან მაჯლაჯუნები



გიგი უგულავას მეუღლე ლელა კილაძე სოციალურ ქსელში მორიგ სტატუსს აქვეყნებს.

– დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩვენს გვერდით იყო, მადლობა მათ, ვინც ვერ შეძლო მოსვლა, მაგრამ მორალურად გიგისთანაა. მხნედ გამოიყურება და მადლობას უხდის ყველას მხარდამჭერისთვის!



„ჩვენი საქმე მართალია“, – თქვა გიგიმ პროცესზე, მჯერა, რომ გიგის საქმე მართლაც მართალია და ამას დრო აუცილებლად გვაჩვენებს, – წერს ლელა კილაძე.

რამდენიმე საათით ადრე, კილაძეს „ფეისბუკის“ „კედელზე“ გიგის ქალიშვილმა ტასომ მამასთან ერთად გადაღებული ფოტოები გამოუქვეყნა, სადაც კომენტარი თამარ ჩერგოლეიშვილმა გააკეთა და ბავშვს მიმართა:

– არც შენ შეცვლილხარ და არც გიგი. არ ინერვიულო – თქვენ თუ არ ინერვიულებთ, გიგიც არ ინერვიულებს და ერთად მოვერევით მალე მაჯლაჯუნებს, – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

*reitingi.ge*

## რას ასწრებს ლალი მოროშკინა ქმრის აბაზანაში ყოფნის დროს



მას შემდეგ, რაც ლალი მოროშკინამ საფრანგეთს თავშესაფარი სთხოვა, საკმაოდ საინტერესო სტატუსებსა და ფოტოებს აქვეყნებს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, კი მხოლოდ ნერწყვს ვყლაპავთ ლალის ფრანგული ვოიაჟით, ხედებით სხვადასხვა რესტორნებიდან თუ სასტუმროს ნომრიდან. ახლახან, რომანტიკულმა ქალბატონმა სოციალურ ქსელში რომანტიკული სტატუსი გამოაქვეყნა.

– ჩუმად, ჩუმად... არვინ გაგვიგოს... მოკლედ, გოგოებო, მოასწარით წაკითხვა, სანამ ჩემი ქმარი აბაზანიდან გამოვიდა და წაშალა ეს სტატუსი (საერთო „ფეისბუკი“ გვაქვს).

მე 44 წლის ასაკში მივხვდი, რა არის ნამდვილი ქალური ბედნიერება!!!

ძალიან საყვარელი მამაკაცი – это раз!

წვიმიანი პარიზი – это два...

და ჩვენი ბავშვობის ფილმი if tomorrow comes, შამპანურთან ერთად – это три!!!“

ლალიმ სტატუსი 22 საათის წინ გამოაქვეყნა და კვლავ მის „ფეისბუკ“-გვერდზე დევს. იმედია, მისი მეუღლე კარგად არის და უბრალოდ, სტატუსის წაშალა გადაიფიქრა, თორემ 22 საათი აბაზანაში მეტისმეტად რთული წარმოსადგენია...

*reitingi.ge*

## ოთო ნემსაძემ შეყვარებულს ცოლობა ტრუსებში გამოწყობილმა სთხოვა



„ჯეოსტარის“ გამარჯვებული ოთო ნემსაძე დაოჯახდა. მისმა მეუღლემ ეს ამბავი საჯარო სოციალური ქსელით გახადა. ფოტო გამოაქვეყნა, სადაც მომღერალი ტრუსებშია გადაღებული.

– ასე დამნიშნა სამსახურიდან მოსულმა ოთომ... ფოტოს დადებას ვყოყმანობ, რადგან ჩემს მეუღლეს ტრუსები აცვია... მაგრამ მაინც დავდებ, რადგან მას ყველაფერი უხდება, – დაწერა „ფეისბუკზე“ ოთოს მეუღლემ.

*reitingi.ge*



## ბიძინა, რატომ კახური ვირი არ გაგიუპატიურებს მაგ ზებრას — გოგა ხაჩიძე

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გოგა ხაჩიძე გიგი უგულავასთვის ბრალის წარდგენას „ფეისბუკზე“ ეხმაურება.

– გიგი უგულავას მარნეულის ეპიზოდზე წაუყენეს ბრალდება! ამ მარნეულის, ამ არჩევნებზე!...

რატომ ზვიგენი არ მოგიკვდება, ბიძინა?! რატომ კახური ვირი არ გაგიუპატიურებს მაგ ზებრას?! – წერს ხაჩიძე.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქალი:

– ძვირფასო, მინდა, შენთან ერთად ვიცხოვრო დიდხანს და ბედნიერად!

მამაკაცი:

– საყვარელო, შენ თუ ბედნიერად იცხოვრებ, მე დიდხანს ნამდვილად ვერ გავქაჩავ!..

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, როგორი ყავა გინდა?

– როგორი და ძალიან მაგარი, ოღონდ მსუბუქი, უხეში და თან მსუბუქი, რომელიც მთელ ჩემს შინაგან არსებას თავდაყირა დააყენებს, გამიღებს ცდუნების სამყაროსა და შეუკავებელი გრძნობების კარს, თავბრუს დამახვევს და ახალ შეგრძნებებს გამიჩენს...

– შენა და იქნებ, უბრალოდ, არაყი ჩაგერტყა?!

*****

– ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი განწყობას ამაღლებს...

– ჰმ! ეტყობა, მაგათ არაყი არ გაუსინჯავთ...

*****



დამლაგებელმა ჟუჟუნამ, რომელიც 25 წელია, აეროპორტში მუშაობს, 70 ენაზე იცის ფრაზა:

– სად ფსამ, შე დამპალო, ამ წუთას მოვწმინდე!!!

*****

– აბა, შენ თუ იცი, რომელი სამი სიტყვა გვხვდება ყველაზე ხშირად მთელ მსოფლიოში?

– როგორ არ ვიცი – „I Love you"!

– ცდები, მეგობარო, ცდები! ეს სიტყვებია: „MADE IN CHINA"!..

*****

საღამო... საძინებელი... მამაკაცის გამწარებული ხმა:

– შე წაკლა, გამოდის, რომ ამ კვირაში მხოლოდ წამწამები არ აგტკიებია!!!

*****

– დალევ?

– აბა, რა?!

– მოწევ?

– რა თქმა უნდა?!

– ნარკოტიკები?

– რატომაც არა?!

– და ნაყინი?

– აუ, არა, ყელი არ მატკინოს...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## შექმნილია საცურაო კოსტიუმი თანაბარი რუჯისთვის



ზაფხულობით გარუჯვის ერთ-ერთი მთავარი „მუღამი" ნაცნობ-მეგობრებისთვის „რაზნიცის" დემონსტრირება კი არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამიერიდან ამ „პრივილეგიას" ბევრი დაემშვიდობება. ყოველ შემთხვევაში, ვინც ახალ საცურაო კოსტიუმს შეიძენს, იგი თანაბარ რუჯს მიიღებს და არავითარი „რაზნიცა" აღარ დარჩება.

კორეელმა დიზაინერმა ჯუნ-ჰენ კიმმა იდეალური რუჯის მისაღები საცურაო კოსტიუმი შექმნა, სახელწოდებით „სოლარ ტინი".

კორეელი დიზაინერის ნაწარმი სპეციალური ქსოვილისგანაა დამზადებული და მასში მზის პანელებიცაა დამატებული.

„სოლარ ტინის" ჩაცმით, ქალი აღარ ინერვიულებს იმაზე, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილს მზის სხივები განსხვავებულ კვალს დაატყობს.

როგორც ჯუნ-ჰენ კიმი განმარტავს, სპეციალური ქსოვილი და მზის პანელები საშუალებას იძლევა, მთელი სხეული ზედმიწევნით თანაბარი რუჯით დაიფაროს. ანუ, მზის სხივები ფერს იმ ნაწილებსაც შეუცვლის, რომელიც საცურაო კოსტიუმის ქვეშ იქნება დამალული.

დიზაინერი პირობას დებს, რომ მისი სიახლე უკმაყოფილოს არავის დატოვებს.

სამწუხაროდ, საცურაო კოსტიუმის გავლენაზე ჯანმრთელობასა და კანის მდგომარეობაზე (მაგალითად, მკერდიც რომ მზის სხივების ისეთივე დოზებს მიიღებს, როგორც მხრები და მკლავები, არ შეიძლება, საშიშროების შემცველი არ იყოს), არაფერი ზუსტდება.

***myjane.ru***

## 26 წლის ვიეტნამელი წამიერად... მოხუცებულად გადაიქცა



წარმოუდგენელი ტრაგედია დაატყდა თავს 26 წლის ვიეტნამელ ნგუენ ტხი პუონგს, რომელიც ლამაზი ახალგაზრდა გოგონასგან მოხუცებულ ბებიად გადაიქცა და ახლა უკვე 70 წლის ქალს ჰგავს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ფენომენი მედიცინისთვის ნაცნობია და მართალია, ბოლომდე შესწავლილი არ არის, მაგრამ, როგორც წესი, მის გამომწვევ მიზეზად მემკვიდრეობით მიღებული მუტირებული გენეტიკა სახელდება.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, ყველაფერი ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ალერგიისგან დაიწყო, რომელიც ზღვის პროდუქტებით კვებამ გამოიწვია. დასაწყისში ახალგაზრდა ვიეტნამელი ალერგიის საწინააღმდეგო სტანდარტული მედიკამენტებით მკურნალობდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერაფრით ეღირსა. მოგვიანებით სახალხო მედიცინასაც მიმართა. საბოლოო ჯამში, ორგანიზმმა ველარ გაუძლო და დაბერება უსწრაფესი ტემპებით დაიწყო.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გოგონას დაბერების მიზეზი შესაძლოა, პრეპარატებისა და სახალხო მედიცინის საშუალებების აღრევა გამხდარიყო. მათივე თქმით, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლებელია, დაწყებული პროცესის მსვლელობა 50-70 პროცენტით შეფერხდეს, თუმცა მყარი გარანტია მაინც არ არსებობს. ჯერჯერობით კი ვიეტნამელ გოგონას სიბერე კვლავ გამეტებით უტევს...

***myjane.ru***

## წყალი აუცილებელია არა მხოლოდ გულისთვის, არამედ... სექსისთვისაც

პრინციპში, წყალი მხოლოდ გულისთვის არ არის აუცილებელი და ფაქტობრივად, არ არსებობს ორგანო, რომელიც მის გარეშე ნორმალურად იმუშავებდა.



როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა წყლის მორიგი დადებითი თვისება გამოავლინეს. კერძოდ, დადგინდა, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, წყალი მამაკაცის პოტენციის გაუმჯობესებასაც ახერხებს.

კვლევის ავტორები ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან, რომლებიც ამბობენ, რომ წყალი უბრალოდ, აუცილებელია სრულფასოვანი სექსუალური ცხოვრებისთვის.

კერძოდ, ისინი განმარტავენ, რომ წყალი პირველ რიგში, ადამიანს დაღლილობის დაძლევაში ეხმარება. გარდა ამისა, არეგულირებს სისხლის წნევას და აუმჯობესებს მის მიმოქცევას, რაც, თავის მხრივ, მამაკაცის პოტენციაზე, ბუნებრივია, დადებით გავლენას ახდენს.

რაც შეეხება მშვენიერ სქესს, წყალი მათ შემთხვევაშიც დადებითი შედეგების მომტანია. კერძოდ, აუმჯობესებს შარდსადენი გზების მუშაობას.

***siteua.org***

## ნაადრევი მშობიარობა ეპილეფსიის რისკებს ზრდის?



ამერიკელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ნაადრევ მშობიარობას შესაძლოა, მომავალში ეპილეფსიის გაჩენის რისკის ზრდა მოჰყვეს.

მჭიდრო კავშირი ნაადრევ მშობიარობასა და ეპილეფსიის გაჩენას შორის სტენფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომელთა განმარტებითაც, რაც უფრო ადრეულ პერიოდში ხდება მშობიარობა, რისკიც მით უფრო მაღალია.

იმისთვის, რათა ამ საშიში დაავადების ალბათობის შემცირება მოხერხდეს, ამერიკელი სპეციალისტები ამბობენ, რომ საჭიროა ნაადრევი მშობიარობის შეძლებისდაგვარად შეფერხება.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში 25-დან 37 წლამდე ასაკის 630 ათას 90 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებზეც დაკვირვება 4 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მოხალისეებიდან 27 ათას 953 ნაადრევად იყო გაჩენილი. დაკვირვების პერიოდში 922 მათგანი კლინიკაში ეპილეფსიის დიაგნოზით დააწვინეს.

საბოლოო ჯამში, სპეციალისტები ამბობენ, რომ ხანგრძლივმა კვლევამ ისინი დაარწმუნა – ნაადრევ მშობიარობასა და ეპილეფსიას შორის კავშირი ნამდვილად არსებობს, თანაც საკმაოდ მჭიდრო კავშირი.

ამასთანავე, მოხალისეებს, რომლებიც ჩასახვიდან 23-31-ე კვირებში იყვნენ დაბადებულები, ეპილეფსიის დიაგნოზს 5-ჯერ ხშირად უსვამდნენ. 32-34-ე კვირაში დაბადებულებს – 2-ჯერ, ხოლო 35-36-ე კვირაში დაბადებულებს – 1,5-ჯერ ხშირად.

ყველა ეს მაჩვენებელი უცვლელი დარჩა იმის შემდეგაც კი, რაც მკვლევარებმა გაითვალისწინეს ნაყოფის სიგრძე, ოჯახში ბავშვის დაბადების რიგითობა და დაავადებები, რომლებიც შეიძლება ნაადრევ მშობიარობას ახლდეს.

***science.computlenta.ru***

## აღმოჩენილია ბედნიერი ქორწინების ფორმულა



გადასარევია და რა თქმა უნდა, არაფერი ჯობია, თუკი კონკრეტული ფორმულა დაეხმარება წყვილს ბედნიერების გაძლიერებისთვის, თუმცა...

როგორც ირკვევა, შვეიცარიელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ფორმულა, რომლის დახმარებითაც ქორწინება ბედნიერებისთვისაა „განწირული".

აი, როგორია შვეიცარიელების ფორმულა: მამაკაცმა ისეთი ქალი უნდა მოიყვანოს ცოლად, რომელიც მასზე 5 წლით უმცროსი იქნება. გარდა ამისა, ცოლი ქმარზე ცნობილი და ჭკვიანი უნდა იყოს. თუკი ამ ორივე პირობის დაცვა მოხერხდება, როგორც ფორმულის ავტორები ამტკიცებენ, ქორწინებაში ბედნიერების მოპოვების ალბათობა 20 პროცენტით მატულობს.

შვეიცარიელებს ისიც გამოუთვლიათ, რომ ცოლი ქმარზე 27 პროცენტით ჭკვიანი უნდა იყოს. ამასთანავე, ის ვალდებულია, უმაღლესი განათლება ჰქონდეს, ქმარი კი – არა.

ექსპერტების თქმით, ადამიანები ამ წესებს რომ იცავდნენ, გაცილებით ბედნიერები იქნებოდნენ.

კვლევაში 19-დან 75 წლამდე ასაკის 1074 ოჯახი მონაწილეობდა და დასკვნაც შვეიცარიელებმა სწორედ მათი ურთიერთობების გაანალიზების შესწავლის შედეგად გამოიტანეს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სიახლის ავტორებს არაერთი ოპონენტი გამოუჩნდა. მათი თქმით, ფორმულა სიცრუეა, რადგან თანამედროვე ოჯახი ვერაფრით იქნება ბედნიერი, თუკი ცოლი ქმარზე ან ქმარი ცოლზე რაიმე სახის დომინირებას მოიპოვებს.

***tainamira.ru***

## ახლომხედველობის სამკურნალოდ ღამის ლინზები გამოიგონეს



ვისაც მხედველობა არ უვარგა, შეუძლია აღარ ინერვიულოს, რადგან პრობლემას ადვილად მოაგვარებს – ამერიკელმა მედიკოსებმა ე.წ. ღამის ლინზები გამოიგონეს.

სიახლის ავტორების ინფორმაციით, ღამის ლინზები მხედველობის კორექციის ფენომენალური შესაძლებლობით გამოირჩევა.

კერძოდ, საჭიროა მისი გაკეთება დაწოლის წინ. ძილის დროს ლინზები თვალის რქოვანას ფორმებს ცვლის, რაც, თავის მხრივ, მხედველობის გაუმჯობესებას იწვევს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ": იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი ღამის ლინზების გამოყენებას თავს დაანებებს, მხედველობა კვლავ გაუუარესდება.

როგორც ამბობენ, ღამის ლინზების გაყიდვა ამერიკაში უკვე დაიწყო, თუმცა მისი ფასის შესახებ ინფორმაცია აღარ ზუსტდება.

***dr20.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. მდინარე კახეთში
2. ვარსკვლავების მდებარეობით შედგენილი ბედისწერა
3. მცენარე
4. ქართული ვაზის ჯიში
5. მითიური ცხენ-კაცი
6. გასართობი პარკში
7. დაჩირქებული ადგილი
8. იტალიური ავტომობილი
9. არქიტექტურული სტილი
10. სტატორი და ...
11. „მეფე ერეკლე და ... ქალი"
12. ტბა თბილისში
13. „სამგროშიანი ..."
14. თევზი ელექტრ. მუხტით
15. იგი კვაზიმოდოს უყვარდა
16. პოლონური ფულის ერთეული
17. მსახიობი ჯიმ ...
18. ჩილეს დედაქალაქი
19. წყლის საღებავი
20. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
21. სოფელი რაჭაში
22. ფედერიკო ფელინის ფილმი
23. მუხის ქერქის ერთგვარი
24. ტბა აფრიკაში
25. ქალაქი იტალიაში
26. ტაფაზე მომწვარი ცომი
27. „პიერი ... თანამშრომელი"
28. მსახიობი ... დიტრიხი
29. მომღერალი ... ალვინი
30. მდინარე კახეთში
31. საყანედ გაწმენდილი ტყე
32. „ნაფტვრის ხე" დაუშვილი
33. მწერალი ... დე ბალზაკი
34. პრეზიდენტი ბარაკ ...
35. მ/ფ „... თოვლზე"
36. ლეშის-მჭამელი ფრინველი
37. პოეტი ... ტაბიძე
38. კომპოზიტორი სერგეი ...
39. მსახიობი მამუკა ...
40. დაბა ბაკურიანთან
41. ოპერა „... და ეთერი"
42. მსახიობი ... ბრანდო
43. კონტინენტი
44. ოჯახი სოფლად
45. ნოხი
46. მოსაპირკეთებელი ქვა
47. მსახიობი ... ჰეპბერნი
48. აზროვნების ორგანო
49. შხამიანი ობობა
50. სახელდახელო ფიცრული ნაგებობა
51. ბრინჯაო
52. მომღერალი ... ვაიკულე
53. მსახიობი ... პარადი
54. სამკურნალო მცენარე
55. წყლის ტრანსპორტი
56. რადიოლოკატორი
57. ტელენის სიმპათ. მოხუცი ...
58. ალქიმის ნამიერი
59. ერთნაირი არაყი
60. „კავკ. ცარცის წრე" მოსამართლე
61. მწერალი ჟიულ ...
62. აჭრილი
63. ცივება-გამცლე სითხე
64. რეჟისორი კვენტინ ...
65. ... სულაკაური
66. „... გრეის პორტრეტი"
67. გაცოფების შედეგად დარჩენილი
68. გამჭოლი ქარი
69. ველური ვაზი
70. იაზონის გემი
71. კარგად მოარული ცხენი
72. ადგილი თვალის ქვეშ
73. აფროდიტეს სატრფო
74. ამხანაგი
75. შოტლანდიის დედაქალაქი
76. შვედური ავტომობილი
77. იაპონური ჭადრაკი
78. ჯამის ფორმის სასმისი
79. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
80. მონეტების შემგროვებელი
81. მუხის ნაყოფი
82. მდინარე საფრანგეთში
83. მეფე ძველ ეგვიპტეში
84. გემზე ზღვაურის დამხმარე ბიჭი
85. ქიმიური ელემენტი
86. ფორმანის ფილმი მოცარტზე
87. ნადირობის ქალღმერთი
88. ... შვარცენეგერი
89. სოფელი ახმეტის რაიონში
90. მომღერალი ... კალასი
91. ზრდადაუსრულებელი ქათამი
92. მსახიობი ... კემბელი
93. მდინარე რუსეთში
94. მხატვარი ამედეო ...
95. ცხენებით მოძრავი ტრამვაი
96. სურდო
97. სიო
98. ქალაქი ინგლისში
99. კომპოზიტორი ... პაულსი
100. უნგრელი კომპოზიტორი
101. იაპონური ხალათი
102. მსახიობი ... რობერტსი
103. თაგვის სადგომი
104. მისი დედაქალაქი ლიმა
105. პირველი სამნიშნა რიცხვი
106. იჩქარე ...
107. მხატვარი ავთო ...
108. მწერალი ... კიპლინგი
109. ბუდეის რომანი
110. მწერალი არტურ კონან ...
111. მდინარე თერგის ხეობა
112. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
113. მდინარე საფრანგეთში
114. ლანგარი
115. მას ჰქონდა ჯადოსნ. ლამპარი
116. შინაური ცხოველი
117. კურორტი ოზურგეთის რაიონში
118. დაკოდილი ცხენი
119. შვედური ხურდა ფული
120. მტაცებელი ცხოველი სავანაში
121. ... არაბეთს როსტევან
122. იტალიის დედაქალაქი
123. მომღერალი ბობ ...
124. საოპერო პარტია
125. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
126. „გრაფი მონტე-კრისტო" ... აბატი
127. ირის საპირისპირო
128. ხარებთან ბრძოლა
129. მდ. ჩაედინება არალის ზღვაში
130. კავშირებითი სიტყვა
131. მომღერალი ... ბადურაშვილი
132. წყალქვეშა კლდე
133. ჯერ შრომა, ... ხტომა
134. ესპანელი დიდებული
135. ყელის დაავადება
136. მსახიობი ... სორვინო
137. ხელის საგრილებელი
138. ცეცხლის ენა
139. მ/ფ „ჩარი-რამა" პერსონაჟი
140. ჰუნების ბელადი
141. მტაცებელი ფრინველი
142. მზის ჩასვლა
143. ყვავილი

პასუხები: 1. ალაზანი; 2. ჰოროსკოპი; 3. ბაქია; 4. ცოლიკაური; 5. კენტავრი; 6. ატრაქციონი; 7. აბსცესი; 8. „ფერარი"; 9. როკოკო; 10. როტორი; 11. ინგილო; 12. ლისი; 13. ოპერა; 14. სკატი; 15. ესმერალდა; 16. ზლოტი; 17. კერი; 18. სანტიაგო; 19. აკვარელი; 20. კვიპროსი; 21. ირი; 22. რვანახევარი; 23. კორპი; 24. ნიასა; 25. ლივორნო; 26. ბლინი; 27. მილიციის; 28. მარლენ; 29. ავრილ; 30. იორი; 31. ახო; 32. ციციკორე; 33. ონორე; 35. ყვავილი; 36. სვავი; 37. გალაკტიონ; 38. რახმანინოვი; 39. კიკალეიშვილი; 40. ცემი; 41. აბესალომ; 42. მარლონ; 43. აზია; 44. კომლი; 45. ხალიჩა; 46. მარმარილო; 47. ოდრი; 48. ტვინი; 49. ტარანტული; 50. ბარაკი; 51. რვალი; 52. ლაიმა; 53. ვანესა; 54. სალბი; 55. გემი; 56. რადარი; 57. ტომასი; 58. კოზაკი; 59. რახი; 60. აზდაკი; 61. ვერნი; 62. ავი; 63. ანტიფრიზი; 64. ტარანტინო; 65. ზაალ; 66. დორიან; 67. ნაშთი; 68. ორპირი; 69. უსურვაზი; 70. „არგო"; 71. თოხარიკი; 72. უპე; 73. ადონისი; 74. ბანდეროლი; 75. ედინბურგი; 76. „ვოლვო"; 77. გო; 78. ფიალა; 79. იხვნისკარტა; 80. ნუმიზმატი; 81. რკო; 82. რონა; 83. ფარაონი; 84. იუნგა; 85. იოდი; 86. „ამადეუსი"; 87. დიანა; 88. არნოლდ; 89. ომალო; 90. მარია; 91. ვარია; 92. ნივ; 93. დონი; 94. მოდილიანი; 95. კონკა; 96. რინიტი; 97. ნიავი; 98. ლივერპული; 99. რაიმონდ; 100. ლისტი; 101. კიმონო; 102. ერიკ; 103. სორო; 104. პერუ; 105. ასი; 106. ნელა; 107. ვარაზი; 108. რედიარდ; 109. „იზა"; 110. დოილი; 111. დარიალი; 112. ახალუხი; 113. ლო; 114. სინი; 115. ალადინი; 116. თხა; 117. ბახმარო; 118. იაბო; 119. ერე. 120. აფთარი; 121. იყო; 122. რომი; 123. მარლი; 124. არიან; 125. ტორტილა; 126. ფარია; 127. იანი; 128. კორიდა; 129. ამუდარია; 130. და; 131. ნინი; 132. რიფი; 133. მერე; 134. გრანდი; 135. ლარინგიტი; 136. მირა; 137. მარაო; 138. ალი; 139. ჭიპილია; 140. ატილა; 141. ორბი; 142. დაისი; 143. ია. იკითხება: ნიკე.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## სამძიმარი

უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ

**გიორგი იმერლიშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი ადამიანი, მოქალაქე, მაღალი რანგის პროფესიონალი, გამორჩეული და ერთგული მეგობარი, კარგი ქართველი კაცი, საკუთარ სამშობლოში შეყვარებული და მისი უანგარო მსახური.

ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ გია ჩვენ გვერდით აღარ არის. ის ყოველთვის იქნება მისი კოლეგებისა და მეგობრებისთვის მაგალითი იმისა, როგორ უნდა საქმის კეთება დიდი პროფესიონალიზმით და ამავე დროს დიდი სიყვარულით.

თანაგრძნობას ვუცხადებ და ვუსამძიმრებ გიორგი იმერლიშვილის ოჯახს, მის ნათესავებს, მეგობრებსა და კოლეგებს, ვიზიარებ მათ დიდ მწუხარებასა და ტკივილს.

*ირაკლი ღარიბაშვილი*

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## გამოგონილია სასარგებლო საღეჭი რეზინი



კაცმა რომ თქვას, საღეჭი რეზინის ნებისმიერი მწარმოებელი თავის ნაწარმს უამრავ სასარგებლო თვისებას მიაწერს და კატეგორიულად უარყოფს, რომ მისგან ადამიანს პრობლემები შეიძლება შეექმნას, თუმცა სინამდვილეში ეს რომ ასე არ არის, ბევრი კვლევის შედეგებითაც დადასტურებულა.

ამის გათვალისწინებით, ჩვენი მხრიდან დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, მართლა სასარგებლოა თუ არა გერმანელი მეცნიერების მიერ შექმნილი საღეჭი რეზინი, თუმცა სიახლეს მაინც გაგაცნობთ.

როგორც ირკვევა, გერმანელებმა პრობიოტიკებიანი საღეჭი რეზინი დაამზადეს, რომელიც პირის ღრუზე დადებით გავლენას ახდენს და კარიესის პროფილაქტიკის საშუალებასაც იძლევა.

სიახლის ავტორების განმარტებით, პრობიოტიკებს მიეკუთვნება ლაქტობაქტერიები და ბიფიდუმბაქტერიები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმზე ძალიან დიდ დადებით გავლენას ახდენენ.

სწორედ ასეთი მიკროორგანიზმები დაამატეს გერმანელებმა საღეჭ რეზინს, რომელიც კბილების დაცვის გარდა, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებასაც ახერხებს.

ჯერჯერობით საღეჭი რეზინის გამოცდები არ დასრულებულა და ამდენად, მისი გაყიდვების დაწყების შესახებ ვერაფერს გეტყვით.

***fashingu.ru***

## მეცნიერებმა სტრესსა და მკერდის კიბოს შორის კავშირი აღმოაჩინეს



მკერდის კიბოს, დაავადების, რომელიც სულ უფრო ხშირად უჩნდებათ თანამედროვე ქალებს, გამომწვევი მიზეზების დადგენაზე, მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ. უკანასკნელმა კვლევამ კი გააჩინა ჰიპოთეზა, რომ დაავადების გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლოა, სტრესიც გახდეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ამერიკელმა სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებიც განმარტავენ, რომ სტრესის შედეგად მკერდის კიბო იმიტომ ჩნდება, რომ ზოგიერთ ქალში ეს ერთი უსიამოვნება მეორეს – ჰორმონალურ ცვლილებებს იწვევს და მესამე და ყველაზე მთავარი უსიამოვნებაც იქვეა.

ზოგადად, სტრესი რომ ძალიან სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, კი გეცოდინებათ და ამის შესახებ ჩვენც ბევრი დაგვიწერია, მაგრამ, როგორც ხედავთ, მას სიმსივნის გაჩენაც კი შეუძლია. ჰოდა, უმჯობესია, საკუთარი თავის კონტროლზე გაცილებით მეტი იზრუნოთ და თუ ეს ვერ გამოდის, იქნებ, ფსიქოლოგისთვის მაინც მიგემართათ.

***miss-moda.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**8 ივლისი:** რაოდენ კეთილი ზრახვებიც არ უნდა გქონდეთ, ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც თქვენ გინდათ. დღეს მოხვდებით ტალღაში, საიდან გამოსვლასაც ვერ შეძლებთ. დაელოდეთ, სანამ ყველაფერი გადაივლის.

**კურო 22.04-21.05**

**8 ივლისი:** შეიძლება დღეს აზრების მოკრება გაგიჭირდეთ. საჭირო მომენტში ისეთ ადამიანს მიენდეთ, ვისაც ყველაზე მეტად ენდობით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**8 ივლისი:** შეეცადეთ, სახლში არ გამოიკეტოთ. რაც უფრო მეტი ურთიერთობები გექნებათ, მით უკეთესი. სახლში დარჩენით ბევრ რამეს დაკარგავთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**8 ივლისი:** რაც არ უნდა მოხდეს, გაუაზრებლად არაფერი გააკეთოთ. დიდი ალბათობით ძალიან მნიშვნელოვან ამბავს გაიგებთ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაახმაუროთ.

**ლომი 23.07-22.08**

**8 ივლისი:** თუ სამოგზაუროდ წასვლის საშუალება არ გაქვთ, შეეცადეთ, რამდენიმე საათით მაინც დაისვენოთ ბუნებაში.

**ქალწული 23.08-22.09**

**8 ივლისი:** თუ სადმე უწესრიგობას შენიშნავთ, თავს ვერ შეიკავებთ და მოწესრიგებას შეეცდებით. რაც არ გეხებათ, ხელს ნუ მოკიდებთ, დიდ დროს დაკარგავთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**8 ივლისი:** დღეს ბევრ ისეთ რამეს შეამჩნევთ, რაც ადრე თვალში არ გხვდებოდათ. არ გაიკვირვოთ. საღამოს სტუმრებს ელოდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**8 ივლისი:** თუ ვინმე რამეში გადანაშაულებთ, დაფიქრდით, რაშია საქმე. მით უმეტეს, თუ ბრალდებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**8 ივლისი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და აქტიური მზრუნველობის ობიექტი გახდებით. შეიძლება თქვენს ცხოვრებაში შეუქცევადი ცვლილებები დაიწყოს.

**თხის რქა 22.12-19.01**

**8 ივლისი:** საკუთარი თავის მიმართ ძალიან მკაცრი ნუ იქნებით. ძალიან საყვარელი არსება ხართ და ბევრს მოეწონებით.

**მერწყული 20.01-18.02**

**8 ივლისი:** ურთიერთობებსა და ურთიერთგაგებას მეტი ყურადღება მიაქციეთ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად სწორად გაგიგებთ თანამოსაუბრე.

**თევზები 19.02-20.03**

**8 ივლისი:** დღეს გადაწყვეტილების მიღება არ იჩქაროთ. სიტუაცია იმდენად მომწიფებული არ არის, რომ ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგათ.

## კბილებს აზიანებს არა გაზიანი სასმელები, არამედ... ვაშლი?



ვაშლი თუ მავნებელია, აბა, რაღაა სასარგებლო, ჰიბრიდული სიმინდი თუ სამმეტრიანი ბადრიჯანი?!

სად ვნახეთ სამმეტრიანი ბადრიჯანი? და თქვენ სად გაიგონეთ, რომ ვაშლი მავნებელია?! უი, ჩვენ თვითონ ვწერთ ამას, არა?

მოკლედ, ლონდონის სამეფო კოლეჯის სტომატოლოგები ამტკიცებენ, რომ ვაშლი კბილებზე დამღუპველ გავლენას ახდენს.

ბრიტანელებს თუ დავუჯერებთ, ვაშლი გაცილებით დიდ როლს თამაშობს კარიესის ჩამოყალიბებაში, ვიდრე აქამდე ყველაზე მავნედ აღიარებული ტკბილი გაზირებული სასმელები. კვლევის ფარგლებში ინგლისელმა სპეციალისტებმა ასობით ადამიანის კბილებისა და ღრძილების მდგომარეობა შეისწავლეს და ასევე, მათი დიეტებიც გააანალიზეს.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ვაშლის მოყვარულებს 3,7-ჯერ ხშირად უჩნდებოდათ კარიესი, ხოლო ვინც გაზიან სასმელებს ანიჭებს უპირატესობას, ეს მათი კბილების ჯანმრთელობაზე პრაქტიკულად, არანაირ გავლენას არ ახდენდა. ვაშლის ასეთი მავნებლობა მისი მაღალი მჟავიანობითა და ასევე, დიდი რაოდენობით შაქრის შემცველობით აიხსნება. ამდენად, მისი ხშირად დაგემოვნება არცთუ სახარბიელო შედეგების მომტანია.

სიმართლე გითხრათ, ცოტა გვიჭირს ამ ამბის დაჯერება, მით უმეტეს, რომ ვაშლს ოდითგანვე მიეწერება სწორედ კბილების მოვლის თვისებები, თუმცა ვისაც სჯერა, იმათ გზას ვუთმობთ – მიბრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო!..

***aif.ru***

## ალცჰეიმერის დაავადება ინფექციის მსგავსად ვრცელდება?



საკმაოდ მოულოდნელი მიგნების შესახებ ალაპარაკდნენ შოტლანდიელი სწავლულები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ალცჰეიმერის დაავადება შესაძლოა, ინფექციის შედეგი გახდეს და უფრო მეტიც, ერთი ადამიანიდან მეორეს გადაედოს.

სწორედ ასეთი შედეგი აჩვენა ახალმა კვლევამ, რომელიც ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა.

ექსპერიმენტების ავტორები თავადვე ამბობენ, რომ ჯერჯერობით მუშაობა ბოლომდე არ მიუყვანიათ, თუმცა პირველადი შედეგებით თავადაც უსაზღვროდ გაკვირვებულები არიან.

თუკი შოტლანდიელები დაამტკიცებენ, რომ ნამდვილად მართლები არიან, არ არის გამორიცხული, ერთხელ და სამუდამოდ ალცჰეიმერის დაავადების საწინააღმდეგო ეფექტური პრეპარატის შექმნაც მოხერხდეს.

***globalscience.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კბილის ექიმმა, რომელიც 3 საათი წვალობდა, პაციენტისთვის კბილი რომ ამოეღო, იმედგაცრუებულმა წამოიძახა:

– წადი და კბილი მატარებელმა ამოგაძროს!!!

ერთი კვირის შემდეგ დანტისტს პაციენტი ქუჩაში შეხვდა – ამ უკანასკნელს პირში არც ერთი კბილი აღარ აქვს:

– ექიმო, როგორც მირჩიეთ, ისე მოვიქეცი – კბილით მატარებლის ბოლო ვაგონს მივები...

– მერე?

– მერე ის, რომ სამი ვაგონი რელსებიდან გადავიდა...

– და კბილები?

– კბილები სადგურის უფროსმა ჩამიმტვრია...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

»211359457

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძუაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.40